იურიდიული განათლების
ხელშეწყობის ფონდი

თანასწორობის გზამკვლევი სასკოლო სახელმძღვანელოების ავტორებისთვის

იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდი

თანასწორობის გზამკვლევი სასკოლო სახელმძღვანელოების ავტორებისთვის

თბილისი
2021

გზამკვლევი მომზადდა იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდის მიერ, „საქართველოს ღია საზოგადოების ფონდის“ (OSGF) ფინანსური მხარდაჭერით. გამოცემის შინაარსზე პასუხისმგებელია იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდი, მასში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ გამოხატავდეს ფონდის პოზიციას.

გამოცემაზე პასუხისმგებელი პირი: ნინო ბაღაშვილი

გზამკვლევის ავტორი: ანა ქათამაძე

რედაქტორი: დეა ჯიქია

ტექნიკური რედაქტორი: ირაკლი სვანიძე

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისა და იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ჯ. კახიძის ქ. №15, თბილისი, საქართველო
(+995 32) 295 23 53, 293 61 01
www.gyla.ge

© 2021, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია / იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდი

სარჩევი

შესავალი 4

სასკოლო სახელმძვანელოს როლი თანასწორობის მიღწევაში 6

1. სასკოლო სახელმძღვანელოში თანასწორობასთან დაკავშირებული საკითხების ასახვის ძირითადი პრინციპები 8

   1.1. ინკლუზიური ენის გამოყენება 8

   1.2. განსხვავებული და მრავალფეროვანი იდენტობის წარმოდგენა 10

   1.3. ადამიანის უფლებების სწავლება 13

2. გენდერული ნიშანი 17

   2.1. სქესი, გენდერი, გენდერული თანასწორობა 17

   2.2. გენდერული ასპექტების გათვალისწინების სტრატეგიები სახელმძღვანელოში 20

3. შეზღუდული შესაძლებლობის ნიშანი 26

   3.1. შეზღუდული შესაძლებლობა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება 26

   3.2. შეზღუდული შესაძლებლობის ასპექტების გათვალისწინების სტრატეგიები სახელმძღვანელოში 28

4. ეთნიკური და რელიგიური ნიშანი 34

   4.1. ეთნიკური და რელიგიური კუთვნილება და მრავალფეროვნება 34

   4.2. ეთნიკური და რელიგიური ასპექტების გათვალისწინების სტრატეგიები სახელმძღვანელოში 35

ლექსიკონი 40

ბიბლიოგრაფია 43

რესურსები და სასარგებლო ბმულები 45

შესავალი

იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდმა და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ 2020 წელს ფართომასშტაბიანი კვლევა „თანასწორობის პოლიტიკა ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში“ განახორციელა.[1] კვლევა მოიცავდა ზოგადი განათლების სისტემაში სასკოლო სახელმძღვანელოების შემუშავებისა და შეფასების პოლიტიკის ანალიზს თანასწორობის უზრუნველყოფისა და ყველა სახის დისკრიმინაციის აღმოფხვრის კონტექსტში. შედეგად, სასკოლო სახელმძღვანელოების შეფასებასთან დაკავშირებით იდენტიფიცირებულმა გამოწვევების ანალიზმა აჩვენა, რომ სახელმძღვანელოების შეფასების პროცესი მხოლოდ ნაწილობრივ უზრუნველყოფს სახელმძღვანელოს დისკრიმინაციული, თანასწორობის პრინციპებთან შეუსაბამო შინაარსისგან/ვიზუალური მასალისგან დაცვას. უფრო კონკრეტულად, კვლევის მიხედვით გამოიკვეთა შემდეგი სახის პრობლემები:

<u>სახელმძღვანელოების კონტენტ ანალიზის შემთხვევაში:</u>

- სახელმძღვანელოებში გენდერული, ეთნიკური, რელიგიური, კულტურული და სხვა ნიშნით მრავალფეროვნების საკითხები არასაკმარისად არის ასახული. მინიმალურად ან არ არის წარმოდგენილი უმცირესობების როლი საზოგადოებისა და სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვან სოციალურ-პოლიტიკურ პროცესებში;
- სახელმძღვანელოების უმეტესობა, მათ შორის მასწავლებლის სახელმძღვანელო, არ არის ორიენტირებული ადამიანის უფლებების ინტეგრირებულ სწავლებაზე და არ იძლევა ამა თუ იმ თემის გადააზრების საშუალებას ადამიანის უფლებების კონტექსტში.

<u>სახელმძღვანელოების გრიფირების პროცესთან დაკავშირებით:</u>

- ტოლერანტობა და ინტერკულტურული მგრძნობელობა ჯერ კიდევ არ წარმოადგენს განათლების სისტემაში გადაწყვეტილებების მიღების ერთ-ერთ ძირითად და უალტერნატივო პრინციპს, რაც აისახება სახელმძღვანელოების შემუშავებისა და შეფასების არსებულ პრაქტიკაზე;
- თანასწორობის პრინციპებისა და ყველა სახის დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ ცნობიერება დაბალია როგორც სახელმძღვანელოს ავტორებში, ასევე, რეცენზენტებში. მიუხედავად ამისა, არ არსებობს გზამკვლევი, თუ როგორ შეიძლება ტერმინების, ფაქტებისა და მოვლენების აღწერა/სწავლება თანასწორობის პრინციპებთან შესაბამისობით, ნეიტრალური, მიუკერძოებელი და არადისკრიმინაციული ენის გამოყენებით;

[1] კვლევა „თანასწორობის პოლიტიკა ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში“ (2020). ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3vIRbOK.

- ყველა სახის დისკრიმინაციის აღმოფხვრის კონტექსტში გამოწვევას წარმოადგენს სახალხო დამცველის აპარატის მიერ წარმოდგენილი სპეციალისტების მიერ შემუშავებული რეკომენდაციების სახელმძღვანელოებში დროული და სრულფასოვანი ასახვა.

იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდის მიერ მომზადებულ თანასწორობის გზამკვლევში წარმოდგენილი რეკომენდაციები შეუძლია გამოიყენოს ნებისმიერი საგნის სახელმძღვანელოს ავტორმა. გზამკვლევში, კონკრეტული მაგალითების საფუძველზე, მოცემულია რეკომენდაციები თანასწორობისა და ადამიანის უფლებების სწავლების ძირითადი სტანდარტების შესახებ. ის, ასევე, მოიცავს ეთნიკური, რელიგიური, გენდერული და შშმ პირების საკითხების ინკლუზიური ასახვის პრინციპებს.

სასკოლო სახელმძღვანელოს როლი თანასწორობის მიღწევაში

თანასწორობის უფლება დემოკრატიული სახელმწიფოს ერთ-ერთ ფუნდამენტურ ღირებულებას წარმოადგენს, რაც მოიცავს ყველა ადამიანის უფლებას, იყოს დაცული რაიმე ნიშნის საფუძველზე განსხვავებული მოპყრობისგან, ჰქონდეს თვითრეალიზების თანაბარი შესაძლებლობა და თანაბრად მიუწვდებოდეს ხელი არსებულ რესურსებზე. თანასწორობის ცნება ეფუძნება იდეას, რომ ადამიანები ერთმანეთისგან მრავალი ნიშნით განსხვავდებიან, თუმცა, ეს არ უნდა ზღუდავდეს მათ შესაძლებლობას, აქტიურად იყვნენ ჩართულები საზოგადოების პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ თუ კულტურულ ცხოვრებაში.

საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის თანახმად:

„ყველა ადამიანი სამართლის წინაშე თანასწორია. აკრძალულია დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, სქესის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ნიშნის მიხედვით“.

დისკრიმინაციის[2] ზემოაღნიშნული ნიშნები ამომწურავი არ არის, თუმცა, საქართველოს კანონმდებლობა ისევე, როგორც სხვა საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტები, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები ყველას თანაბრად ეკუთვნის და რაიმე ნიშნის საფუძველზე მათი შეზღუდვა ან პრივილეგიის მინიჭება დაუშვებელია. თუმცა, კანონის მოთხოვნის მიუხედავად, ისეთი უფლებები, როგორიც არის განათლების და ჯანმრთელობის დაცვის უფლება, თანასწორობის უფლება, აღმსარებლობის თავისუფლება და სხვა, ხშირად არ რეალიზდება ყველასთვის თანასწორად, განსაკუთრებით ისეთი ნაკლებად პრივილეგირებული ჯგუფებისთვის, როგორებიც არიან ქალები და გოგონები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, სოციალურად დაუცველი, ეთნიკურ ან რელიგიურ უმცირესობას მიკუთვნებული ადამიანები და სხვა.

აღნიშნული ჯგუფებისადმი დისკრიმინაციულ მოპყრობას, ძირითადად, საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპული დამოკიდებულებები, ცრურწმენები და ნეგატიური წინასწარგანწყობები უდევს საფუძვლად, რაც, მათ შორის, ინფორმაციის ნაკლებობით და თანასწორობის საკითხებზე საზოგადოების დაბალი ცნობიერებით არის განპირობებული. მაგალითად, გავრცელებული გენდერული სტერეოტიპები, რომელიც ქალის მთავარ ფუნქციად საოჯახო საქმეების გაძღოლას, ხოლო კაცის ფუნქციად ოჯახის ფინანსურად უზრუნველყოფას მიიჩნევს, განაპირობებს ქალების ნაკლებ მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში და კაცების ნაკლებ ჩართულობას ბავშვის აღზრდის პროცესში. გე-

[2] ისეთი მოპყრობა ან პირობების შექმნა, რომელიც პირს რაიმე ნიშნის მიხედვით:

- არახელსაყრელ მდგომაროებაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით (ქალებს არ აქვთ არჩევნებში მონაწილეობის უფლება. ნიშანი - სქესი);
- თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს (სკოლას არ აქვს პანდუსი, რის გამოც სკოლაზე ხელმისაწვდომობა შეიძლება შეეზღუდოთ ეტლით მოსარგებლე მოსწავლეებს. ნიშანი - შეზღუდული შესაძლებლობა).

ნდერული უთანასწორობა კი გავლენას ახდენს ქვეყნის განვითარების თითქმის ყველა სფეროზე, რამდენადაც სტერეოტიპებზე დაფუძნებული შეხედულებები ზღუდავს როგორც ქალების, ისე კაცების შესაძლებლობას, მიიღონ საკუთარ ცხოვრებასთან დაკავშირებული თავისუფალი და ინფორმირებული გადაწყვეტილებები. სტერეოტიპების აღმოფხვრის პროცესში სასკოლო სახელმძღვანელოებს და დამხმარე სასწავლო რესურსებს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია.

სასკოლო სახელმძღვანელოების განვითარებასთან დაკავშირებული დისკუსიები კომპლექსურია და ხშირად ხდება განხილვის საგანი, თუმცა, უცვლელი რჩება ის ძირითადი ფუნქციები, რომელიც თითოეულ მათგანს აკისრია - გადასცეს ცოდნა, ღირებულებები, დამოკიდებულებები, უნარ-ჩვევები და ქცევითი მოდელები.[3] შესაბამისად, მნიშვნელოვანია, სახელმძღვანელომ (ტექსტური მასალა, ილუსტრაციები, პერსონაჟების წარმოჩენა, დავალებები, სავარჯიშოები და სხვა) ერთი მხრივ, არ წაახალისოს სტერეოტიპული დამოკიდებულებები კონკრეტული ჯგუფების მიმართ, ხოლო მეორე მხრივ, ხელი შეუწყოს თანასწორობის, ტოლერანტობის, ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული ღირებულებების დამკვიდრებას და ნაკლებად პრივილეგირებული ჯგუფების თანაბარ მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

[3] A Comprehensive Strategy for Textbooks and Learning Materials. UNESCO. 2005. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://inee.org/system/files/resources/UNESCO-Comprehensive_Strategy_for_Textbooks_2005.pdf . ბოლოს ნანახია: 20.03.2021.

1. სასკოლო სახელმძღვანელოში თანასწორობასთან დაკავშირებული საკითხების ასახვის ძირითადი პრინციპები

სტერეოტიპების, ცრურწმენებისა და ნეგატიური წინასწარგანწყობებისგან თავისუფლებას გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია (UNESCO) სასკოლო სახელმძღვანელოების ხარისხის შეფასების ერთ-ერთ ინდიკატორად განიხილავს, რისი მიღწევის საშუალებას სახელმძღვანელოების განვითარების და გამოყენების პროცესში ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის (Human Rights Based Approach - HRBA) გამოყენება წარმოადგენს.[4] აღნიშნული მიდგომა ხაზს უსვამს მრავალფეროვნებას და გამოყოფს სამ ურთიერთდაკავშირებულ სტრატეგიას, რომელიც, მათ შორის, ეხება სახელმძღვანელოში რელიგიასთან, სქესთან და კულტურასთან დაკავშირებული მოსაზრებების წარმოდგენას. ესენია:[5]

- ინკლუზიური ენის გამოყენება;
- განსხვავებული და მრავალფეროვანი იდენტობის წარმოდგენა;
- ადამიანის უფლებების სწავლება.

UNESCO-ს მიერ შემუშავებული სტრატეგიები, ერთი მხრივ, წარმოადგენს რეკომენდაციებს სახელმძღვანელოს ავტორებისთვის, მეორე მხრივ კი სახელმძღვანელოს შეფასების ინსტრუმენტს თანასწორობის ჭრილში. თუმცა, შესაძლებელია სტრატეგიული ჩარჩო მოდიფიცირებულ იქნას სხვადასხვა საგნისთვის, რამდენადაც თანასწორობასთან დაკავშირებული საკითხები განსხვავებული მოცულობით და კონტექსტით არის წარმოდგენილი სხვადასხვა მიმართულებაში.

1.1. ინკლუზიური ენის გამოყენება

სახელმძღვანელოზე მუშაობის პროცესში, ინკლუზიური ენის გამოყენება გულისხმობს ნეიტრალური, არამიკერძოებული ენის შერჩევას, რომელიც არ წაახალისებს უთანასწორობას რაიმე ნიშნით. ინკლუზიური ენა, რომელიც ასევე წარმოადგენს სახელმძღვანელოს შეფასების ერთ-ერთი ძირითად კრიტერიუმს, რამდენიმე ძირითად კომპონენტს მოიცავს:

I. *ენობრივი და გრამატიკული კონტექსტი*

ინკლუზიური ენის ენობრივი და გრამატიკული კონტექსტი ეხება კონკრეტულ ენობრივ და გრამატიკულ თავისებურებებს, რაც შეიძლება პირდაპირ ან ირიბად უთითებდეს, მაგალითად, ქალებთან მიმართებით კაცის უპირატესობაზე.

ამ კუთხით შეიძლება განვიხილოთ ინგლისური სიტყვა „**Business<u>man</u>**", (შედგე-

[4] Making textbook content inclusive: A focus on religion, gender, and culture. UNESCO. 2017. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.unesco.de/sites/default/files/2018-09/Making%20 textbook%20content%20inclusive.pdf ბოლოს ნანახია: 20.03.2021.

[5] იქვე.

ბა სიტყვებისგან „საქმე“ და „კაცი“) რაც აქცენტს აკეთებს სქესზე და ხაზს უსვამს, რომ ბიზნესი ქალის საქმე არ არის. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, გამოვიყენოთ ნეიტრალური ტერმინი, როგორიც არის „**Businessperson**”[6] - ამ შემთხვევაში სიტყვა „person” (პიროვნება) არ აკონკრეტებს ადამიანის სქესს. ასევე, სიტყვა „**Housewife**” (შედგება სიტყვებისგან „სახლი“ და „ცოლი“) აქცენტს აკეთებს, რომ სახლის საქმეების შესრულება ქალის მოვალეობას მიეკუთვნება (ალტერნატიულ სიტყვად შესაძლოა გამოვიყენოთ „**Homemaker**” [7]).

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ქართული ენა გრამატიკულ სქესს ერთმანეთისგან არ განასხვავებს, თუმცა, შესაძლოა შევხვდეთ ისეთ სიტყვებსაც, რომელიც ხაზგასმას კონკრეტულ სქესზე აკეთებს. მაგალითად, სიტყვა „**ჯარისკაცი**“ მიუთითებს, რომ ჯარში სამსახური კაცების პროფესიაა. ამ შემთხვევაში, შესაძლოა, გამოყენებულ იქნას გენდერულად ნეიტრალური ტერმინები: **„სამხედრო მოსამსახურე“, „სამხედრო პირი“** ან **„ჯარში მსახურობს“.**

II. *განზოგადებული ენა*

ინკლუზიური ენის გამოყენება, ასევე, გულისხმობს ისეთი ტერმინოლოგიის შერჩევას, რომელიც გამარტივებულად არ წარმოაჩენს კონკრეტულ ჯგუფს და არ განაზოგადებს მის რომელიმე მახასიათებელს ჯგუფის ყველა წევრზე,[8] რაც ხელს უწყობს სტერეოტიპებისა და ცრურწმენების ჩამოყალიბებას:

- შეფასების კომპონენტი: რამდენად განზოგადებულია სახელმძღვანელოში ან დამხმარე სასწავლო რესურსში გამოყენებული განსაზღვრებები?[9]

- განზოგადებული განსაზღვრება- *„ქრისტიანები **იცავენ** აღდგომის მარხვას“;*
- არაგანზოგადებული განსაზღვრება - *„ქრისტიანების **ნაწილი იცავს** აღდგომის მარხვას“.*

III. *მიკერძოებული ენა*

სახელმძღვანელო და დამხმარე სასწავლო რესურსი, ასევე, თავისუფალი უნდა იყოს მიკერძოებული ენის გამოყენებისგან. მიკერძოებული ენა (Biased language) ეხება სიტყვებს ან ფრაზებს, რომელიც წაახალისებს ცრურწმენებს, აძლიერებს სტიგმას, არის შეურაცხმყოფელი, საზიანო, მათში გამოხატული მოსაზრებები გამორიცხავს ადამიანებს სხვადასხვა ნიშნით ან არათანაბრად წარმოადგენს მრავალფეროვან ჯგუფებს:[10]

---

[6] Cambridge Dictionary. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://dictionary.cambridge.org/dictionary/english/businessperson . ბოლოს ნანახია: 21.02.2021.

[7] Cambridge Dictionary. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://dictionary.cambridge.org/dictionary/english/homemaker . ბოლოს ნანახია: 21.02.2021.

[8] Making textbook content inclusive: A focus on religion, gender, and culture. UNESCO. 2017.

[9] იქვე.

[10] Nordquist, Richard. “Biased Language Definition and Examples.” ThoughtCo, Aug. 25, 2020. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.thoughtco.com/what-is-biased-language-1689168 ბოლოს ნანახია: 21.02.2021.

- შეფასების კომპონენტი: რამდენად მიკერძოებულია სახელმძღვანელოში ან დამხმარე სასწავლო რესურსში გამოყენებული ენა?

- მიკერძოებული ენა - „ახალგაზრდა, რომელიც ნარკოტიკულ საშუალებას მოიხმარს, საკუთარი თავის, ოჯახის და საზოგადოების მტერია“;

- არამიკერძოებული ენა - მოიცავს მხოლოდ განმარტებებს, სტატისტიკურ მონაცემებს, მიზეზებისა და შედეგების ანალიზს და პირადი მოსაზრებისგან თავისუფალ სადისკუსიო შეკითხვებს/დავალებებს, რომელიც აქცენტს აკეთებს მოხმარებაზე და არა მომხმარებელზე.

IV. *ტერმინოლოგია*

მიკერძოებულ ენის გამოყენებაში, ასევე, იგულისხმება კონკრეტული ჯგუფებისადმი პრივილეგიის მინიჭება/გამორიცხვა რაიმე ნიშნით (კაცების, ეთნიკურად ქართველების უპირატესი წარმოჩენა) ან შეურაცხმყოფელი, სტერეოტიპული ტერმინოლოგიის გამოყენება, რომელიც თითოეული ნაკლებად პრივილეგირებული ჯგუფისთვის ცალკე განისაზღვრება. (სქესის ნიშნით შეიძლება იყოს „დიასახლისი“, რასობრივი ნიშნით - „ზანგი“, რელიგიური ან/და ეთნიკური ნიშნით - „თათარი“, შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით - „ხეიბარი“ და სხვა).

კონკრეტულ შემთხვევებში შესაძლოა აღნიშნული ტერმინები გვხვდებოდეს არა სახელმძღვანელოს ავტორის მიერ განსაზღვრულ დავალებებში ან შეკითხვებში, არამედ მრავალფეროვან ისტორიულ წყაროებსა თუ მხატვრული ლიტერატურის ტექსტებში. შესაბამისად, ერთი მხრივ, მნიშვნელოვანია ავტორის მიერ ისეთი წყაროების ან ტექსტების შერჩევა, რომელიც არ შეიცავს ადამიანის ღირსების შემლახავ ტერმინოლოგიას, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მსგავსი ტერმინები გვხვდება მაღალი მხატვრული ღირებულების მქონე ტექსტებში, აუცილებელია, მას დაერთოს შესაბამისი მოკლე განმარტება/სარედაქციო კომენტარი. [11] მაგალითად, თუ მხატვრული ლიტერატურის ტექსტში გვხვდება სიტყვა „ზანგი“, მას უნდა დაერთოს განმარტება იმის შესახებ, რომ აღნიშნული ტერმინის ხსენება ხშირად უკავშირდება რასიზმს, ჩაგვრას და მონობას, ამიტომ უმჯობესია, თუ გამოვიყენებთ სიტყვებს „შავკანიანი“ ან „აფროამერიკელი“.[12]

1.2. **განსხვავებული და მრავალფეროვანი იდენტობის წარმოდგენა**

კულტურული მრავალფეროვნების შესახებ UNESCO-ს საყოველთაო დეკლარაცია აღნიშნავს, რომ საზოგადობაში, რომელიც სულ უფრო მრავალფეროვანი ხდება, აუცილებელია უზრუნველყოფილ იქნას ადამიანებსა და მრავალფეროვანი კულტურული იდენტობის მქონე ჯგუფებს შორის ჰარმონიული ურთი-

[11] სახელმძღვანელოების ავტორებისთვის. © 2018 ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI). ხელმისაწვდომია: http://tdi.ge/sites/default/files/tdi_brochure.pdf ბოლოს ნანახია: 17.04.2021

[12] იქვე

ერთქმედება, ასევე, მათი მისწრაფება თანაცხოვრებისკენ.[13] სკოლა კი პირველი ადგილია, სადაც შესაძლებელია განსხვავებულ ინდივიდებს თუ თემებს შორის ნდობისა და ორმხრივი ურთიერთგაგების გარემოს ჩამოყალიბება. აქედან გამომდინარე, აუცილებელია, სახელმძღვანელოსა და დამხმარე სასწავლო მასალაში *სამართლიანად და ზუსტად* იქნას წარმოდგენილი ყველა ის კულტურა (ენობრივი, რელიგიური, ეთნიკური და სხვა), რომელიც ქმნის საზოგადოებას.[14]

- წაახალისეთ მოსწავლეები, შეისწავლონ კონკრეტულ იდენტობასთან დაკავშირებული ტერმინების მნიშვნელობა, ისტორიული წყაროები, სხვადასხვა კულტურის გეოგრაფიული საზღვრები და კულტურათაშორისო მსგავსება - განსხვავებები.[15]

- *მაგალითი:* რა მახასიათებლებს უკავშირდება „დასავლეთ“ და „აღმოსავლეთ“ ცივილიზაციები? (რელიგია, გეოგრაფიული საზღვრები, პოლიტიკური სისტემები, ადამიანის უფლებები).

- საკითხის შესასწავლად გამოიყენეთ ინფორმაციის მრავალფეროვანი წყაროები, მათ შორის: ახალი ამბები, სტატიები, არქივის ჩანაწერები და სხვა.

- *მაგალითი:* საქართველოში არსებული ეთნიკური მრავალფეროვნების განხილვისთვის, შესაძლოა, ერთობლივად იქნას გამოყენებულ: თეორიული მასალა; სტატია-ახალი ამბავი, რომელიც ეხება საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობებს; პოსტერები, რომლებიც შესაძლოა, წარმოადგენდეს ისტორიულ კონტექსტს. რეკომენდირებულია, მასწავლებლის წიგნში ასევე ინტეგრირდეს სხვადასხვა დამხმარე რესურსი. ამ შემთხვევაში, შესაძლოა, გამოყენებულ იქნეს ჰეიდარ აბაშიძის ხმის ჩანაწერი - „როგორ გავიგე, რომ ქართველი ვარ“[16], რაც ხელს შეუწყობს სიტყვა „ქართველში“ ეთნიკური უმცირესობების მოაზრებასაც.

- განსხვავებული და მრავალფეროვანი იდენტობის წარმოდგენის პროცესში მნიშვნელოვანია ინტერსექციულობის გათვალისწინებაც. ინტერსექციულობა უკავშირდება იდეას, რომ ყველა ადამიანი ერთზე მეტ იდენტობას ატარებს,[17] რომლებიც ერთდროულად თანაარსებობენ და განსაზღვრავენ ადამიანების უნიკალურ გამოცდილებას. მაგალითად, „მუსლიმი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალის“ გამოცდილება განსხვავებულია მუსლიმი კაცების, შეზღუდული შესაძლებლობის არ მქონე ქალების და არამუსლიმი ქალების გამოცდილებისგან.[18] აქედან გამომდინარე, შესაძლოა მუშაობის

---

[13] მრავალფეროვნების შესახებ UNESCO-ს საყოველთაო დეკლარაცია. 2001. ხელმისაწვდომია ბმულზე: http://www.unesco.org/new/fileadmin/MULTIMEDIA/HQ/CLT/diversity/pdf/declaration_cultural_diversity_ka.pdf ბოლოს ნანახია: 21.03.2021.

[14] Making textbook content inclusive: A focus on religion, gender, and culture. UNESCO. 2017.

[15] იქვე.

[16] ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.youtube.com/watch?v=yUqk4Ukpgnw

[17] Green River College. Holman Library. Diversity, Equity, Inclusion, and Culturally Responsive Education: Intersectionality & Identity. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://libguides.greenriver.edu/c.php?g=699114&p=4958309 ბოლოს ნანახია: 21.03.2021.

[18] Connect-Ed. სახელმძღვანელო ახალგაზრდული მუშაკებისა და თანასწორგანმანათლებლებისათვის. ახალგაზრდობის განვითარების ცენტრი XXI. 2020. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://

პროცესში სხვადასხვა იდენტობის არა განცალკევებულად, არამედ გაერთიანებულად წარმოდგენა.

- *<u>მაგალითი:</u>* ქალი კომპოზიტორების წარმოჩენის პროცესში სქესთან ერთობლივად ყურადღება გამახვილებელია ეთნიკურ ან/და რელიგიურ კუთვნილებაზე, შეზღუდულ შესაძლებლობაზე და სხვა (მუსლიმი ქალი კომპოზიტორი).

- სახელმძღვანელოს ის კონტენტი (ტექსტური მასალა, სავარჯიშოები, ილუსტრაციები და სხვა), რომელიც უკავშირდება ნაკლებად პრივილეგირებულ ჯგუფებს, შეგიძლიათ განიხილოთ სათემო ორგანიზაციებთანაც (ქალების, ბავშვების, რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციები), მაგალითად, სწორი ტერმინოლოგიის შერჩევის ან სტერეოტიპული წარმოდგენის პრევენციის მიზნით.

ძირითადი კრიტერიუმები განსხვავებული და მრავალფეროვანი იდენტობის ინკლუზიური წარმოდგენისთვის:[19]

კომპონენტი	**შეკითხვა**	**მაგალითი**	**შეფასება**
სტერეოტიპები	რამდენად ახდენს შერჩეული ტერმინოლოგია/ კონტენტი[20] სტერეოტიპული დამოკიდებულებების, ცრურწმენების ან უთანასწორო მოპყრობის წახალისებას რაიმე ნიშნით?	სახელმძღვანელოს კონტენტში ოჯახში ფუნქციები განაწილებულია სქესის ნიშნით; სახელმძღვანელოს კონტენტში ისლამი განხილულია ტერორიზმის/ ძალადობის კონტექსტში, მუსლიმი ადამიანების სურათები უკავშირდება ტერორიზმს; სახელმძღვანელოს კონტენტში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები წარმოდგენილნი არიან, როგორც „თანაგრძნობის“ ობიექტები.	სახელმძღვანელოში გამოყენებული ტერმინოლოგია და კონტენტი არ წაახალისებს სტერეოტიპებს ან განსხვავებულ მოპყრობას რაიმე ნიშნით საზოგადოების პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ თუ კულტურულ ცხოვრებაში; სახელმძღვანელოს კონტენტი ნაკლებად პრივილეგირებულ ჯგუფებს წარმოადგენს საზოგადოების სრულფასოვან წევრებად.

drive.google.com/file/d/1kTckVQ5RKEgac2-XxPPOcJRQk3JHOVhb/view?fbclid=IwAR3YmJiODLFUYXT0rbQjeiT59OWdP3JNhjY65q-36FGxv_YNiSIBEPeQUtU ნანახია: 20.05.2021.

[19] შემუშავებულია UNESCO-ს გზამკვლევზე დაყრდნობით: Making textbook content inclusive: A focus on religion, gender, and culture. UNESCO. 2017.

[20] იგულისხმება როგორც ტექსტური მასალა, ასევე, გამოყენებული ილუსტრაციები, მაგალითები, სავარჯიშოები, დავალებები, პერსონაჟები, დამხმარე რესურსები და სხვა.

თანაბარი წარმოდგენა	რამდენად თანაბრად არის წარმოდგენილი განსხვავებული და მრავალფეროვანი იდენტობა სახელმძღვანელოს კონტენტში?	სახელმძღვანელოს კონტენტში არ არიან/ არათანაბრად არიან წარმოდგენილნი ქალები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, ეთნიკური და რელიგიური უმცირესობები და სხვა კულტურული იდენტობა; სახელმძღვანელოს კონტენტში განსხვავებული და მრავალფეროვანი იდენტობა წარმოდგენილია თანაბრად, მაგრამ სტერეოტიპული კუთხით; პერსონაჟების, გმირების, საზოგადო მოღვაწეების უმრავლესობა კაცია/ ეთნიკურად ქართველია/ მართლმადიდებელი ქრისტიანია და სხვა.	სახელმძღვანელოს კონტენტი თანაბრად წარმოადგენს განსხვავებულ და მრავალფეროვან იდენტობას; სახელმძღვანელოს კონტენტი თანაბრად წარმოაჩენს განსხვავებული და მრავალფეროვანი იდენტობის მქონე ადამიანების/ჯგუფების მიღწევებს, დამსახურებას და მონაწილეობას საზოგადოების პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ თუ კულტურულ ცხოვრებაში და განვითარებაში;
„ჩვენ“ და „ისინი“	რამდენად უწყობს ხელს სახელმძღვანელოს კონტენტი საზოგადოების განსხვავებული და მრავალფეროვანი იდენტობის საპირისპირო მხარეებად დაყოფას?	სახელმძღვანელოს კონტენტი ეროვნულ იდენტობას უკავშირებს ეთნიკურ კუთვნილებას; (ქართველებში არ მოიაზრებს ეთნიკურ უმცირესობებს) სახელმძღვანელოს კონტენტი ეროვნულ იდენტობას უკავშირებს რელიგიურ კუთვნილებას. (ქართველებში არ მოიაზრებს რელიგიურ უმცირესობებს)	სახელმძღვანელოს კონტენტი საზოგადოების შემადგენელ განსხვავებულ და მრავალფეროვან იდენტობას განიხილავს ერთიან კონტექსტში; სახელმძღვანელოს კონტენტი ეროვნული ან/და სხვა იდენტობის კუთხით, არ ახდენს მიკერძოებას ან უპირატესობის მინიჭებას რაიმე ნიშნით.

1.3. ადამიანის უფლებების სწავლება

ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები (სიცოცხლის უფლება, განათლების უფლება, რწმენის, აღმსარებლობის, აზრისა და მისი გამოხატვის თავისუფლება და სხვა) თანდაყოლილია და იგი თანაბრად, სახელმწიფოსგან დამოუკიდებლად ეკუთვნის ყველა ადამიანს. ადამიანის უფლებების სწავლების საკითხი აქტუალური გახდა ადამიანის უფლებადაცვითი მოძრაობების განვითარებასთან ერთად, როგორც მრავალი ნიშნით განსხვავებული ადამიანების და თემების მშვიდობიანი თანაარსებობის ხელშემწყობი ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტი. საკლასო ოთახში ადამიანის უფლებების სწავლება პირველ

ეტაპზე ეფუძნება ადამიანის ძირითად უფლებებსა და ვალებულებებს შორის ფუნდამენტური კავშირის შესწავლას[21], აღიარებას, რომ ღირსება გააჩნია თითოეულ ადამიანს და მას ყველამ თანაბრად უნდა ვცეთ პატივი, ჩვენი პირადი შეხედულებებისა და დამოკიდებულებების მიუხედავად.

ადამიანის უფლებების სწავლების კონტექსტში, სახელმძღვანელო, ერთი მხრივ, უნდა მოიცავდეს ასაკის შესაბამის ინფორმაციას ადამიანის უფლებებზე (ისტორიული კონტექსტი, მნიშვნელობა, კლასიფიკაცია, მახასიათებლები, ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო და ეროვნული მექანიზმები და სხვა), ხოლო მეორე მხრივ, აძლევდეს მოსწავლეებს შესაძლებლობას, იკვლიონ ის ბარიერები და მათი გადაჭრის გზები, რომლის წინაშეც არიან/შეიძლება იყვნენ ნაკლებად პრივილეგირებული ჯგუფები აღნიშნული უფლებების რეალიზების პროცესში. მაგალითად, მოსწავლეს შეუძლია იკვლიოს ის ბარიერები, რომელსაც აწყდებიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები/პირები განათლების უფლების რეალიზების პროცესში (საგანმანათლებლო დაწესებულების ფიზიკური ხელმისაწვდომობა/ადაპტირებული გარემო; ადაპტირებული სასწავლო რესურსები; სტიგმა და სტერეოტიპები, საზოგადოების ცნობიერების დაბალი დონე და სხვა) და ასევე, მოახდინოს ამ ბარიერების დაძლევის გზების იდენტიფიცირება სხვადასხვა დონეზე (მაგალითად, იკვლიოს, თუ როგორ შეუძლია სახელმწიფოს, სკოლას, არასამთავრობო სექტორს, ახალგაზრდებს და სხვა აქტორებს ხელი შეუწყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის/პირებისთვის განათლების თანაბარ ხელმისაწვდომობას).

UNESCO-ს ჩარჩო ადამიანის უფლებების სწავლების შესახებ, ასევე, ხაზს უსვამს ადამიანის უფლებების კონტექსტში რადიკალიზაციისა და ფუნდამენტალიზმის პრევენციის, კონფლიქტებისა და მათი გადაჭრის არაძალადობრივი მეთოდების განხილვას, ადამიანის უფლებების დაკავშირებას სხვადასხვა ისტორიულ პერიოდთან და სწავლების პროცესში ადამიანის უფლებების დაცვასთან დაკავშირებული სასამართლო საქმეების განხილვას.[22]

ადამიანის უფლებების სწავლება, ძირითადად, მოქალაქეობის/სამოქალაქო განათლების საგანთან ასოცირდება, თუმცა, აუცილებელია სათანადო ყურადღება დაეთმოს ინტეგრირებულ სწავლებას და სხვადასხვა საგანთან ადამიანის უფლებების სწავლების დაკავშირებას. ამ მიმართულებით მასწავლებლის წიგნებში, შესაძლოა, აისახოს კონკრეტული რეკომენდაციები ადამიანის უფლებების გარშემო ინტეგრირებული გაკვეთილების ჩასატარებლად ან რეკომენდაციები საგნობრივ ჭრილში ადამიანის უფლებების განხილვისთვის. მაგალითად, ინტეგრირებული გაკვეთილის თემა სამოქალაქო განათლებასა და ქიმიაში შეიძლება იყოს „უფლება წყალზე“, მარია სკლოდოვსკა-კიურის წვლილი მეცნიერების განვითარებაში და ის ბარიერები, რომელიც მას ხვდებოდა/შესაძლოა შეხვედროდა მისი სქესის გამო და სხვა.

ასევე, მნიშვნელოვანია, რომ ინკლუზიურ ტერმინოლოგიასთან დაკავშირებული ინფორმაცია ასახული იყოს ყველა საგნის მასწავლებლის წიგნში. მაგალითად, ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილის ფარგლებში, შესაძლოა, გა-

[21] A manual for human rights education. UNESCO. 1998. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://unesdoc.unesco.org/ark:/48223/pf0000114788/PDF/114788eng.pdf.multi ბოლოს ნანახია: 21.03.2021.

[22] Making textbook content inclusive: A focus on religion, gender, and culture. UNESCO. 2017.

ნხილულ იქნას ნაწარმოები, რომელიც ეხება ქუჩაში მცხოვრებ ბავშვებს. შესაბამისად, დისკუსიის პროცესში არ შეიძლება გამოყენებულ იქნას სტიგმის გამაძლიერებელი ისეთი ტერმინები, როგორიც არის: „ქუჩის ბავშვები“, „უპატრონო ბავშვები“, „უსახლკარო ბავშვები“ და სხვა. (გამოიყენება ტერმინი „ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვები“). ინტეგრირებული გაკვეთილის თემა ამ მიმართულებით, შესაძლოა, იყოს ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვთა უფლებები, მათ წინაშე არსებული ბარიერები და ამ ბარიერების გადაჭრის გზები, რაც დაკავშირებული იქნება როგორც ნაწარმოებთან, ასევე, თანამედროვე საქართველოში არსებულ გამოწვევებთან.

ადამიანის უფლებების სწავლება საგნობრივ ჭრილში[23]

ქვემოთ მოყვანილი პრაქტიკული მაგალითები წარმოადგენს რეკომენდაციების ნაწილს, რომელიც, შესაძლოა, აისახოს სახელმძღვანელოში ან/და მასწავლებლის წიგნში მოსწავლეთა ასაკობრივი ჭრილის გათვალისწინებით:

საგანი	**პრაქტიკული მაგალითები**
მათემატიკა	• წიგნიერების დონესთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემების ანალიზი/დავალება, რაც შეიძლება განხილულ იქნას გენდერულ ჭრილში; • დასაქმების დონესთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემების ანალიზი/დავალება, რაც შეიძლება განხილულ იქნას ეთნიკურ ჭრილში.
ქართული ან უცხო ენა და ლიტერატურა	• მოთხრობებს/სხვა ნაწარმოებს თანდართული კითხვები/ დავალება შინაარსთან დაკავშირებულ შესაბამის უფლებაზე (მონობა, ბავშვთა შრომა); • ლიტერატურის/მწერლების როლი ადამიანის უფლებების ისტორიაში; • ქალი მწერლების/პოეტების (ან სხვა ნაკლებად პრივილეგირებული ჯგუფის წევრების) წინაშე არსებული ბარიერები ისტორიულ ან სხვა კონტექსტში.
ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები	• ინფორმაციის მოძიებისა და კვლევის მიმართულებაში ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული ინფორმაციის მოძიება (აქცენტი უფლებაზე, ქვეყანაზე ან სხვა კონტექსტი); • ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული ბლოგის წარმოება; სოციალური ქსელები, როგორც ადვოკატირების ინსტრუმენტი.
მუსიკა	• მუსიკა/სიმღერა, როგორც კონკრეტული სოციალური მოძრაობის სახე; • მუსიკა/სიმღერა, რომელიც შეიქმნა ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული კონკრეტული ისტორიული მოვლენის გავლენით.

[23] შემუშავებულია UNESCO-ს გზამკვლევზე დაყრდნობით: A manual for human rights education. UNESCO. 1998.

ხელოვნება	• მხატვრების/ვიზუალური არტისტების შემოქმედება, რომლებმაც ხელი შეუწყვეს ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლებას; • ხელოვნების ნიმუში, რომელიც შეიქმნა ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული კონკრეტული ისტორიული მოვლენის გავლენით; • ადამიანის უფლებასთან დაკავშირებული პროდუქტის შექმნა.
საბუნების-მეტყველო მეცნიერებები	• მეცნიერული მიღწევებით სარგებლობის უფლება; • მეცნიერება გენდერულ, ეთნიკურ, რელიგიურ და სხვა ჭრილში.
ისტორია და გეოგრაფია	• ადამიანის უფლებების განვითარებასთან დაკავშირებული ისტორიული მოვლენები (მაგალითად, 1789 წლის საფრანგეთის რევოლუცია); • ისტორიული მოვლენები ადამიანის უფლებათა ჭრილში (მაგალითად, ეთნიკური კონფლიქტები); • საერთაშორისო ორგანიზაციების როლი ადამიანის უფლებების დაცვაში.
მოქალაქეობა და სამოქალაქო განათლება	• ადამიანის უფლებების განვითარების ისტორია და მნიშვნელობა; • კლასიფიკაცია, მახასიათებლები; • ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო და ეროვნული მექანიზმები; • ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული სასამართლო საქმეები; • ბარიერები ადამიანის უფლებების ყველასთვის თანასწორად უზრუნველსაყოფად და მათი გადაჭრის გზები.

2. გენდერული ნიშანი

2.1. სქესი, გენდერი, გენდერული თანასწორობა

ტერმინები სქესი (Sex) და გენდერი (Gender) ხშირად გამოიყენება, როგორც სინონიმები, თუმცა, მათ განსხვავებული მნიშვნელობა აქვთ. სქესი ეხება ადამიანის ფიზიკურ და ბიოლოგიურ მახასიათებლებს, გენდერი კი სოციალური და კულტურული კონსტრუქტია, რომელიც ეხება ადამიანის როლებს, მის ფუნქციებსა და მახასიათებლებს სქესის ნიშნით. შესაბამისად, გენდერი უკავშირდება იმ შეხედულებებსა და მოლოდინებს, რომელიც საზოგადოებაში არსებობს გოგონების/ქალების, ბიჭების/კაცების და მათი სავარაუდო ქცევების მიმართ.[24] მაგალითად, ქალებს აქვთ საშვილოსნო - უკავშირდება მის სქესს, ხოლო შეხედულება, რომ შვილების აღზრდა ქალის მოვალეობას წარმოადგენს - გენდერს, რადგან საქმე ეხება არა შვილოსნობის ბიოლოგიურ უნარს, არამედ ქალის ფუნქციის სტერეოტიპულ განსაზღვრას ოჯახში.

სქესი	**გენდერი**
ბიოლოგიური და ფიზიკური მახასიათებლები	შეხედულებები, დამოკიდებულებები და მოლოდინები ადამიანის პიროვნულ მახასიათებლებზე, როლებსა და ფუნქციებზე მისი სქესიდან გამომდინარე.
მდედრობითი და მამრობითი	ქალური (ფემინური) და კაცური (მასკულინური)
• ქრომოსომული სტრუქტურა ○ ქალი - XX ○ კაცი - XY • რეპროდუქციული სისტემა ○ ქალი - საკვერცხე ○ კაცი - სათესლე ჯირკვალი	• სტერეოტიპული მახასიათებლები ○ ქალი - სუსტი ○ კაცი - ძლიერი • სტერეოტიპული ფუნქციები ○ ქალი - შვილების აღზრდა ○ კაცი - ოჯახის ფინანსური უზრუნველყოფა

გოგონებისთვის/ქალებისთვის და ბიჭებისთვის/კაცებისთვის გარკვეული მახასიათებლების თუ როლების მიკუთვნება ქმნის გენდერულ სტერეოტიპებს - განზოგადებულ შეხედულებებს, თუ როგორ უნდა იქცეოდნენ ადამიანები მათი სქესიდან გამომდინარე. ფემინური (ქალური) და მასკულინური (კაცური) მახასიათებლები კი ყველა კულტურაში განსხვავებულია, რამდენადაც ისინი განსხვავებულ გამოცდილებას ეყრდნობიან. თუმცა, თითოეულ შემთხვევაში „კაცურობის“ და „ქალურობის“ ნორმების დასწავლა პატარა ასაკიდან ხდება, რაც უარყოფით ზეგავლენს ახდენს ადამიანის ფიზიკურ, სოციალურ თუ ემოციურ კეთილდღეობაზე.

[24] GENDER EQUALITY. Glossary of Terms and Concepts. UNICEF Regional Office for South Asia. 2017. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.unicef.org/rosa/media/1761/file/Gender%20glossary%20of%20terms%20and%20concepts%20.pdf ბოლოს ნანახია: 27.03.2021.

გენდერული სტერეოტიპი	**გავლენის დონის მაგალითი**	**ფაქტი**
„გოგონები უკეთ სწავლობენ ჰუმანიტარული, ბიჭები კი ტექნიკური მიმართულების საგნებს“	STEM- ის (მეცნიერება, ტექნოლოგია, ინჟინერია, მათემატიკა) მიმართულებით დასაქმების სფეროში კაცები დომინირებენ. მაგალითად, სამეცნიერო კვლევების სფეროში ქალების 29.3%, ინფორმაციული ტექნოლოგიების ინდუსტრიაში კი ქალების მხოლოდ 16% არის წარმოდგენილი.[25]	კონკრეტული მიმართულების საგანში მოსწავლის წარმატება დამოკიდებული არ არის მის სქესზე; სქესის ნიშნით მოსწავლის შესაძლებლობების განსხვავება ხელს უშლის მის პიროვნულ და პროფესიულ განვითარებას.
„ნამდვილი კაცები არ ტირიან“	თვითმკვლელობის რიცხვი ბიჭებში ორჯერ უფრო მაღალია, ვიდრე გოგონებში, რის ერთ-ერთ მიზეზედ განხილულია მასკულინური ნორმები, რომელიც ზღუდავს ბიჭებში ემოციების გამოხატვას, წაახალისებს მათ აგრესიის გამოვლენისკენ და უწესებს ერთგვარ „სოციალურ სასჯელს“, თუკი ისინი მათთვის დაწესებული ქცევის ნორმებიდან გადაუხვევენ. შესაბამისად, ბიჭებში თვითმკვლელობის მაღალი მაჩვენებლის ერთ-ერთ მიზეზად, ასევე, განხილულია აღნიშნული ნორმების დაკმაყოფილებაში მათ მიერ განცდილი მარცხიც.[26]	ემოციების გამოხატვა მნიშვნელოვანია; ემოციების გამოხატვის მუდმივმა შეკავებამ, შესაძლოა, გამოიწვიოს ფიზიკური და მენტალური ჯანმრთელობის პრობლემები.[27]

გენდერული სტერეოტიპებით განპირობებული დისკრიმინაცია და ძალადობა ადამიანის უფლებების ფართო სპექტრის შელახვას განაპირობებს, განსაკუთრებით კი გოგონებისა და ქალებისთვის. მაგალითად, ქალის როლის სტერეოტიპული დაკავშირება საოჯახო საქმეების შესრულებასთან, ხარისხიან განათლებაზე გოგონების ხელმისაწვდომობის ძირითადი ბარიერია იმ დაშვებით,

[25] Women in Science, Technology, Engineering, and Mathematics (STEM): Quick Take. CATALYST. 2020. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.catalyst.org/research/women-in-science-technology-engineering-and-mathematics-stem/ ბოლოს ნანახია: 30.03.2021.

[26] King, T.L., Shields, M., Sojo, V. *et al.* Expressions of masculinity and associations with suicidal ideation among young males. *BMC Psychiatry* 20, 228 (2020). ხელმისაწვდომია ბმულზე: https://bmcpsychiatry.biomedcentral.com/articles/10.1186/s12888-020-2475-y#citeas ბოლოს ნანახია: 30.03.2021.

[27] Slatcher, R., & Pennebaker, J. (2007). Emotional expression and health. In S. Ayers, A. Baum, C. McManus, S. Newman, K. Wallston, J. Weinman, et al. (Eds.), Cambridge Handbook of Psychology, Health and Medicine (pp. 84-87). Cambridge: Cambridge University Press. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.cambridge.org/core/books/cambridge-handbook-of-psychology-health-and-medicine/emotional-expression-and-health/42265CC69091C2F508E82EB7E9EA0A71 ბოლოს ნანახია: 30.03.2021.

რომ ისინი ეკონომიკურად კაცზე იქნებიან დამოკიდებულები. კაცისთვის „მარჩენალის“ ფუნქციის განსაზღვრა კი ხელს უწყობს ბიჭებისთვის განათლების მიცემის პრიორიტეტულ წარმოდგენას. განათლების გარდა, გოგონებს და ქალებს აქვთ ნაკლები ხელმისაწვდომობა ჯანდაცვის სერვისებზე, ნაკლებად არიან ჩართულები საზოგადოების სოციალურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში და განიცდიან გენდერული ნიშნით ძალადობის[28] არაერთ ფორმას. [29]

მიუხედავად იმისა, რომ გენდერული უთანასწორობა, ძირითადად, ქალებისა და გოგონების კეთილდღეობაზე აისახება, სტერეოტიპები უარყოფითად მოქმედებს ბიჭებისა და კაცების ცხოვრებაზეც, ართმევს რა მათ შესაძლებლობას, თავად განსაზღვრონ საკუთარი ფუნქცია და როლი როგორც ოჯახში, ასევე, საზოგადოებრივ ცხოვრებაში. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, გენდერული თანასწორობა განვიხილოთ, როგორც ადამიანის უფლება, სქესის მიუხედავად, ჰქონდეს თანაბარი შესაძლებლობა, მიიღოს საკუთარ ცხოვრებასთან დაკავშირებული თავისუფალი და ინფორმირებული გადაწყვეტილებები.

რას გულისხმობს გენდერული თანასწორობა?[30]	**რას არ გულისხმობს გენდერული თანასწორობა?[31]**
ქალისა და კაცის უფლებები, პასუხისმგებლობები და შესაძლებლობები არ არის დამოკიდებული მათ ბიოლოგიურ სქესზე; ქალსაც და კაცსაც უნდა ჰქონდეს საკუთარი პოტენციალის რეალიზების თანაბარი პირობები; ქალებიც და კაცებიც თანაბრად უნდა მონაწილეობდნენ და თანაბრად უნდა იღებდნენ სარგებელს ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და პოლიტიკური ცხოვრების განვითარებისგან.	ქალები და კაცები ერთნაირები არიან; ქალები და კაცები ერთნაირები უნდა გახდნენ; გენდერული თანასწორობის მიღწევა მხოლოდ ქალებისთვის არის მნიშვნელოვანი; გენდერული თანასწორობა/ უთანასწორობა კაცებს არ ეხებათ.

[28] ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური ან/და სექსუალური ძალადობა, რომელიც ჩადენილია ქალისა და კაცის სოციალურად მიკუთვნებული (გენდერული) განსხვავებების საფუძველზე. შეიძლება მოიცავდეს ძალადობის ისეთ ფორმებს, როგორიც არის: ტრეფიკინგი, სექსუალური ძალადობა და სექსუალური ექსპლუატაცია, ადრეულ/ბავშვობის ასაკში ქორწინება; სასქესო ორგანოების დამახინჯება, „ღირსების“ მკვლელობა და სხვა.
GENDER EQUALITY. Glossary of Terms and Concepts. UNICEF Regional Office for South Asia.

[29] How gender stereotyping affects the enjoyment of human rights. OHCHR. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.ohchr.org/EN/Issues/Women/WRGS/Pages/WrongfulGenderStereotyping.aspx ბოლოს ნანახია:30.03.2021.

[30] GENDER EQUALITY. Glossary of Terms and Concepts. UNICEF Regional Office for South Asia. 2017.

[31] იქვე.

2.2. გენდერული ასპექტების გათვალისწინების სტრატეგიები სახელმძღვანელოში

გენდერული სტერეოტიპები თითოეულ კულტურაში განსხვავებულია, თუმცა, რამდენადაც კულტურა მუდმივად იცვლება და ვითარდება, იცვლება გენდერული გავლენებიც. ამ პროცესში კი სასკოლო გარემოს გადამწყვეტი როლის შესრულება შეუძლია. სკოლა ისევე, როგორც სასკოლო სახელმძღვანელო, გენდერული როლების დასწავლის ერთ-ერთი ფუნდამენტური საფუძველია, სადაც შეიძლება ლეგიტუმურად განისაზღვროს ქალისა და კაცის შესახებ მოსწავლეთა წარმოდგენები.[32] შესაბამისად, სასკოლო სახელმძღვანელოს კონტენტი უნდა იყოს გენდერულად ნეიტრალური - ის არ უნდა წაახალისებდეს ქალის და კაცის ფუნქციებთან, თვისებებთან და როლებთან დაკავშირებულ სტერეოტიპულ წარმოდგენებს, რაც შემდგომში განაპირობებს სექსიზმს, დისკრიმინაციას და ძალადობას გენდერული ნიშნით.

1. *ინკლუზიური ენა - ტერმინოლოგია*[33]

შეფასების კრიტერიუმი: რამდენად დისკრიმინაციული & გენდერულად ნეიტრალურია სახელმძღვანელოში გამოყენებული ტერმინოლოგია ?

დისკრიმინაციული ტერმინოლოგია	**განმარტება**	**გენდერულად ნეიტრალური ტერმინოლოგია**
ქალბატონი, ბატონი; მამაკაცი, დედაკაცი; მანდილოსანი.	ატარებს დამატებით კონტექსტს სქესთან მიმართებაში.	გამოიყენეთ გენდერულად ნეიტრალური ტერმინები: ქალი/კაცი; გოგო/ბიჭი.
ქალური, კაცური; ქალურად, კაცურად; ნამდვილი ქალი; ნამდვილი კაცი; ბიჭის შესაფერისი; გოგოს შესაფერისი.	ახდენს თვისებების, როლების, ქცევების და ფუნქციების სტერეოტიპიზაციას სქესთან მიმართებაში.	წარმოაჩინეთ პერსონაჟი მისი ინდივიდუალური მახასიათებლებით, სქესზე ხაზგასმის გარეშე.
კაცის საქმე; ქალის საქმე.	ახდენს ქცევის, საქმიანობის ან/და პროფესიის მიკუთვნებას სქესის ნიშნით.	არ მიანიჭოთ კონკრეტულ ქცევას, პროფესიას, საქმეს ან სფეროს „ქალური“ და „კაცური“ იარლიყი.

[32] Promoting Gender Equality though Textbooks. A Methodological guide. UNESCO. 2009. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://resourcecentre.savethechildren.net/node/8450/pdf/158897e.pdf ბოლოს ნანახია: 31.03.2021.

[33] მოცემული მაგალითები არ წარმოადგენს დისკრიმინაციული ტერმინოლოგიის ამომწურავ ჩამონათვალს, თუმცა, მოყვანილია ყველაზე გავრცელებული მაგალითები.

დიასახლისი; ცოლი, ქმარი; დედა, მამა;	საოჯახო საქმეების შემსრულებლად წარმოაჩენს მხოლოდ ქალებს, განასხვავებს ფუნქციებს/ქცევის მოდელებს სქესის ნიშნით.	გამოიყენეთ გენდერულად ნეიტრალური ტერმინები: - ადამიანი, რომელიც საოჯახო საქმეს უძღვება; - მეუღლე/ქორწინებაში მყოფი; - მშობელი (ან გამოიყენეთ „დედა“ და „მამა“ ერთად, თანაბარ კონტექსტში).
ძლიერი სქესი; სუსტი სქესი.	ახდენს შესაძლო ინდივიდუალური მახასიათებლების სტერეოტიპულ განზოგადებას.	სიძლიერე და სისუსტე შეფასებითი, ინდივიდუალური კატეგორიებია. ძლიერი და სუსტი სქესი არ არსებობს.

2. *<u>ქალის და კაცის თანაბარი და თანასწორი წარმოჩენა</u>*

სასკოლო სახელმძღვანელოში მდედრობითი და მამრობითი სქესის თანასწორი წარმოდგენა, ერთი მხრივ, მოიცავს რაოდენობრივი ბალანსის დაცვას პერსონაჟთა სქესის ნიშნით, ხოლო მეორე მხრივ, მათი თანაბარი მონაწილეობის წარმოჩენას საზოგადოებრივ ცხოვრებაში. აღნიშნული, ასევე, ითვალისწინებს იმ სტერეოტიპებისა და ისტორიული კონტექსტის განხილვას, რითაც შესაძლოა, განპირობებული ყოფილიყო ქალებისა და კაცების განსხვავებული წარმომადგენლობა კონკრეტულ სფეროში:[34]

- სახელმძღვანელოში ქალი და კაცი პერსონაჟების რაოდენობა თანაბარია (პოლიტიკოსები, მეცნიერები, კომპოზიტორები და სხვა). მაგალითად, თუ სახელმძღვანელო მხოლოდ კაც კომპოზიტორებს წარმოაჩენს, გოგონებს არ ეძლევათ კომპოზიტორის პროფესიასთან თვითიდენტიფიცირების შესაძლებლობა და იქმნება წარმოდგენა, რომ აღნიშნული სფერო მათთვის შესაფერისი არ არის;
- სახელმძღვანელოში განხილულია ის სტერეოტიპები, რომელიც ხელს უშლის ადამიანს (როგორც გოგონებს, ისე ბიჭებს) დაეუფლოს კონკრეტულ პროფესიას;
- სახელმძღვანელოში განხილულია ის ისტორიული კონტექსტი, რაც ხელს უშლიდა ქალების და კაცების განსხვავებულ წარმომადგენლობას სხვადასხვა სფეროში (პოლიტიკა, მეცნიერება, განათლება, კულტურა და სხვა).

სახელმძღვანელო, რომელიც გოგონებსაც და ბიჭებსაც თანაბრად სთავაზობს მისაბაძი ადამიანების მრავალფეროვან არჩევანს და თანასწორად ასახავს გოგონების/ქალების და ბიჭების/კაცების ფუნქციებსა და როლებს საზოგადოებ-

[34] Making textbook content inclusive: A focus on religion, gender, and culture. UNESCO. 2017.

რივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, ერთი მხრივ, აძლევს მათ პერსონაჟებთან თვითიდენტიფიცირების შესაძლებლობას, ხოლო მეორე მხრივ, აჩვენებს მოსწავლეებს, რომ ნებისმიერი სახის ცოდნა მათთვის ღია და ხელმისაწვდომია და მათი მომავალი პროფესიული არჩევანი თუ მათი ფუნქცია ოჯახში ან საზოგადოებაში, მათ სქესზე დამოკიდებული არ არის.[35]

გენდერული ასპექტების გათვალისწინება სახელმძღვანელოში: შეფასების ჩარჩო

კომპონენტი	**შეკითხვა**	**შეფასება**	**რეკომენდაცია**
პერსონაჟები[36]	რამდენად თანაბრად არიან წარმოდგენილნი გოგო/ქალი და ბიჭი/კაცი პერსონაჟები სახელმძღვანელოში? (ტექსტური მასალა და ილუსტრაციები) რამდენად ახდენს სახელმძღვანელო პერსონაჟისთვის სქესის ნიშნით სტერეოტიპული მახასიათებლების მინიჭებას?	სახელმძღვანელოში პერსონაჟების უმეტესობა ბიჭია/კაცია. სახელმძღვანელოში მდედრობითი და მამრობითი სქესის პერსონაჟები სტერეოტიპული კუთხით არიან წარმოდგენილნი: • გოგონები/ქალები როგორც: მზრუნველები, კეთილები, ემოციურები, სუსტები, სხვაზე დამოკიდებულები და სხვა; • ბიჭები/კაცები როგორც: ძლიერები, დომინანტები, ლიდერები, ნაკლებად ემოციურები, ნაკლებად მზრუნველები, დამოუკიდებლები და სხვა.	მდედრობითი და მამრობითი სქესის პერსონაჟები წარმოაჩინეთ თანაბრად როგორც ტექსტურ მასალაში, ასევე ილუსტრაციებში; (პერსონაჟებთან თვითიდენტიფიცირების თანაბარი შესაძლებლობა) არ მოახდინოთ პერსონაჟისთვის კონკრეტული მახასიათებლის (მზრუნველობა, ემოციების გამოხატვა, ლიდერობა, დამოუკიდებლობა და სხვა) სტერეოტიპული მინიჭება სქესის ნიშნით; წარმოაჩინეთ პერსონაჟების თანაბარი უფლებები და დამოუკიდებლობა (მათ შორის ფინანსური) საკუთარ ცხოვრებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღებაში.[37]

[35] იქვე.

[36] პერსონაჟებში იგულისხმებიან ტექსტურ მასალაში და ილუსტრაციებში წარმოჩენილი როგორც გამოგონილი გმირები, ასევე, რეალური ადამიანები (ისტორიული ფიგურები, საზოგადო მოღვაწეები და სხვა).

[37] Promoting Gender Equality though Textbooks. A Methodological guide. UNESCO. 2009.

სოციალური როლები	რამდენად ახდენს სახელმძღვანელო პერსონაჟებისთვის სოციალური როლების განსაზღვრას სქესის ნიშნით? (ტექსტური მასალა და ილუსტრაციები)	სახელმძღვანელო საოჯახო საქმეების შემსრულებლად წარმოაჩენს მხოლოდ გოგონებს და ქალებს; ოჯახში მშობლების/ შვილების ფუნქციების გადანაწილება მიკერძოებულია სქესის ნიშნით; სახელმძღვანელო კონკრეტული პროფესიის ადამიანების/საქმიანობის წარმოჩენის პროცესში მიკერძოებულია სქესის ნიშნით: • წარმოაჩენს მხოლოდ კაც მეცნიერებს, პოლიტიკოსებს, სამხედრო პირებს, ინჟინრებს, მძღოლებს, მექანიკოსებს, კომპოზიტორებს და სხვა; • წარმოაჩენს მხოლოდ ქალ მასწავლებლებს/ აღმზრდელებს, სტილისტებს, კულინარებს, მოდელებს, ბალერინებს და სხვა.	საოჯახო საქმეების შემსრულებლად (სახლის დალაგება, საჭმლის მომზადება, ტანსაცმლის გარეცხვა, ბავშვის მოვლა, ზრუნვა და სხვა) თანაბრად წარმოაჩინეთ ორივე სქესი; თანაბრად წარმოაჩინეთ ოჯახში მშობლებს/შვილებს შორის ფუნქციების გადანაწილება (ფინანსური უზრუნველყოფის ჩათვლით); პერსონაჟის პროფესიის/ საქმიანობის კუთხით, თანაბრად წარმოაჩინეთ ორივე სქესი: ქალი და კაცი პოლიტიკოსები, ქალი და კაცი მეცნიერები, ქალი და კაცი აღმზრდელები, ქალი და კაცი კომპოზიტორები და სხვა. (პროფესიებთან თვითიდენტიფიცირების თანაბარი შესაძლებლობა)

ისტორიული და სოციალური კონტექსტი	რამდენად წარმოაჩენს სახელმძღვანელო გენდერული უთანასწორობის ისტორიულ და სოციალურ კონტექსტს? რამდენად თანაბრად წარმოაჩენს სახელმძღვანელო ორივე სქესის როლს/წვლილს ქვეყნის სოციალურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებაში? რამდენად წაახალისებს სახელმძღვანელო მოსწავლეებს, იკვლიონ გენდერული სტერეოტიპების საზიანო გავლენები?	სახელმძღვანელო წარმოაჩენს მხოლოდ კაცების როლს ქვეყნის/ საზოგადოების სოციალურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტრულ განვითარებაში; კონკრეტული მოვლენის/ პროცესის ისტორიული და სოციალური კონტექსტის განხილვა არ ითვალისწინებს გენდერულ ასპექტებს: მაგალითად, გამოტოვებს ქალების როლს ისტორიულ კონტექსტში ან ქალების წინაშე არსებულ ბარიერებს, რაც გამორიცხავდა მათ მონაწილეობას ისტორიულ პროცესებში; ადრეულ ასაკში ქორწინების განხილვის პროცესში გამოტოვებს გენდერული ასპექტების ანალიზს და სხვა.	ისტორიულ და სოციალურ კონტექსტში თანაბრად წარმოაჩინეთ ორივე სქესის როლი/ წვლილი საზოგადოების სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების განვითარებაში; სახელმძღვანელოს კონტენტში გაითვალისწინეთ ინტერსექციულობა: თანაბრად წარმოაჩინეთ ქალები ნაკლებად პრივილეგირებული ჯგუფებიდან (ეთნიკური/ რელიგიური უმცირესობა, შეზღუდული შესაძლებლობა და სხვა); წაახალისეთ მოსწავლეები, იკვლიონ გენდერული სტერეოტიპების საზიანო გავლენები ორივე სქესისთვის და გენდერული თანასწორობის მიღწევის მნიშვნელობა ადამიანთა კეთილდღეობისთვის.

სახელმძღვანელოში გენდერული ასპექტების გათვალისწინების სტრატეგიები, ასევე, მოიცავს გენდერულ იდენტობასა და სექსუალურ ორიენტაციასთან დაკავშირებული საკითხების წარმოჩენას.

გენდერული იდენტობა არის *„ფუნდამენტური განცდა, რომელიც დაკავშირებულია რომელიმე სქესთან მიკუთვნებულობის შეგრძნებასთან“,*[38] შესაბამისად, ადამიანის გენდერული იდენტობა, შესაძლოა, განსხვავდებოდეს მისი სქესისგან. (მაგალითად, სქესი მამრობითი, გენდერული იდენტობა - გოგო/ქალი ან პირიქით, სქესი - მდედრობითი, გენდერული იდენტობა ბიჭი/კაცი). გენდერული იდენტობისგან განსხვავებით, სექსუალური ორიენტაცია *„აღწერს ადამიანის ფიზიკურ, რომანტიკულ ან/და ემოციურ მიზიდულობას საკუთარი, საპირისპირო ან ორივე სქესისადმი“*[39]. თუმცა, რამდენადაც აღნიშნული მიზიდულობის

[38] CSS. ლექსიკონი - ცნობარი სოციალურ მეცნიერებებში. ხელმისაწვდომია ბმულზე: http://dictionary.css.ge/content/gender-identity ბოლოს ნანახია: 07.04.2021.

[39] National Parliamentary Library of Georgia. Civil ენციკლოპედიური ლექსიკონი. ხელმისაწვდომია ბმულზე: http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=19239 ბოლოს ნანახია: 07.04.2021.

გამოხატვას საზოგადოების უმეტესი ნაწილი მხოლოდ საპირისპირო სქესთან მიმართებაში ამართლებს, ჰომოფობიური განწყობებით (ირაციონალური შიში ან სიძულვილი ლგბტქი[40] ადამიანების მიმართ) გამოწვეული ძალადობა და დისკრიმინაცია კვლავ აქტუალურ პრობლემად რჩება, რომლის აღმოფხვრის პროცესში სასკოლო სახელმძღვანელოს მნიშვნელოვანი ფუნქციის შესრულება შეუძლია.

- მოსწავლეებს უნდა ჰქონდეთ ინფორმაცია თემის წევრ ადამიანებზე, როგორც წარმატებულ, მისაბაძ მაგალითებზე და მათ წვლილზე მსოფლიო ისტორიაში, რაც ეხმარება მოსწავლეს, გააცნობიეროს, რომ მისი შესაძლებლობების რეალიზება დამოკიდებული არ არის მის გენდერულ იდენტობასა და სექსუალურ ორიენტაციაზე. სახელმძღვანელოში ან/და მასწავლებლის წიგნში წარმოაჩინეთ შესაბამისი ინფორმაცია, მაგალითად, ფრედი მერკურის, ალან ტიურინგის, ბილი ჰოლიდეის და თემის წევრი სხვა ცნობილი ადამიანების შესახებ. წაახალისეთ მოსწავლეები, განიხილონ ის დანაკარგი, რომელიც მსოფლიოს ექნებოდა, თუ მათ დისკრიმინაციას მოახდენდნენ გენდერული იდენტობის ან/და სექსუალური ორიენტაციის ნიშნით. ყურადღება გაამახვილეთ თანასწორობის უფლებაზე;
- ხაზი გაუსვით, რომ ჰომოფობია არა მხოლოდ ლგბტქი თემის, არამედ მთლიანად საზოგადოების პრობლემაა. მაგალითად, ბულინგის განხილვის პროცესში განიხილეთ ჰომოფობიური ბულინგიც,[41] რომლის ობიექტი სკოლაში შეიძლება გახდნენ როგორც თემის წევრი სკოლის მოსწავლეები, ასევე, ის ბავშვები, რომლებიც სტერეოტიპულად იდენტიფიცირდებიან თემის წევრებად, რამდენადაც არ ჯდებიან „ქალურობის“ და „კაცურობის“ განსაზღვრულ ნორმებში. მაგალითად, ჰომოფობიური ბულინგის ობიექტი, შესაძლოა, გახდეს ბიჭი/გოგო, რომელსაც შესაბამისად აქვს „ფემინური“ და „მასკულინური“ ქცევა ან ჩაცმის სტილი (აქვს გრძელი/მოკლე თმა, ატარებს საყურეს, აქვს განსხვავებული ხმის ტემბრი და სხვა).

[40] ლესბოსელი, გეი, ბისექსუალური, ტრანსგენდერი, ქვიარი, ინტერსექსი.

[41] ბულინგი, რომელიც ხორციელდება სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით იმ მოზარდებზე, რომლებიც მიეკუთვნებიან ლგბტქი თემს, ან სტერეოტიპულად აღიქმებიან, როგორც თემის წევრები. ჰომოფობიური ბულინგი შეიძლება მოიცავდეს: დამამცირებელი მეტსახელების დაძახებას,დაცინვას, კიბერბულინგს, იზოლაციას, ჭორების გავრცელებას, ვერბალური და ფიზიკური აგრესიის გამოხატვას და სხვა. - მშობელთა საინფორმაციო ცენტრი (PIC) „ერთად ვიხმაუროთ ბულინგის წინააღმდეგ“. 2017.

3. შეზღუდული შესაძლებლობის ნიშანი

3.1. შეზღუდული შესაძლებლობა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება

შეზღუდული შესაძლებლობა ადამიანის მდგომარეობის ნაწილია, რაც გულისხმობს კონკრეტული სირთულეების არსებობას გარკვეული საქმიანობის შესრულების ან გარე სამყაროსთან ურთიერთობის პროცესში[42]. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია[43] მის 4 ძირითად ფორმას გამოყოფს, რომელთა ურთიერთქმედებამ სხვადასხვა დაბრკოლებასთან, შესაძლოა, ხელი შეუშალოს ადამიანის სრულ და ეფექტურ მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში:

- ფიზიკური დარღვევა - გადაადგილებასთან (მობილობასთან) დაკავშირებული საკითხები;
- ფსიქიკური დარღვევა - მენტალურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხები;
- ინტელექტუალური დარღვევა - გაგებასთან, გააზრებასთან, მახსოვრობასთან, აღქმასთან, დასწავლასთან დაკავშირებული საკითხები;
- სენსორული დარღვევა - მხედველობასთან, სმენასთან, შეხებასთან დაკავშირებული საკითხები.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების საზოგადოებასთან ინტეგრაციასთან მიმართებაში 3 ძირითადი პრინციპი გამოიყოფა:[44]

1. **სეგრეგაცია (გამოყოფა - გამოცალკევება)** - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები უნდა იმყოფებოდნენ ცალკე დაწესებულებებში, სპეციალიზირებულ სკოლებში და სხვა;
2. **ინტეგრაცია (შერწყმა - შეერთება)** - სკოლის მაგალითზე ეს ნიშნავს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები უნდა სარგებლობდნენ საჯარო სკოლებით, თუმცა, იმავე სკოლაში/კლასში მათთვის კონკრეტულად გამოყოფილი ადგილი უნდა არსებობდეს;
3. **ინკლუზია (ჩართულობა - მონაწილეობა)** - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი განიხილება საზოგადოების სრულფასოვან წევრად, რომელიც სხვათა თანასწორად მონაწილეობს საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

---

[42] Centers for Disease Control and Prevention. Disability and Health Overview. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.cdc.gov/ncbddd/disabilityandhealth/disability.html ბოლოს ნანახია: 07.14.2021.

[43] ხელმისაწვდომია ბმულზე: https://matsne.gov.ge/ka/document/view/2334289

[44] შეზღუდული შესაძლებლობის შესახებ. მომზადებულია „აჭარის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის“ ბაზაზე არსებული „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კლუბის“ ფარგლებში (ორგანიზაციის „ცვლილებები თანაბარი უფლებებისათვის“ მიერ). 2017

სეგრეგაცია **ინტეგრაცია** **ინკლუზია**



განათლების კონტექსტში, ინკლუზია გულისხმობს, რომ ყველა ბავშვს აქვს უფლება, სწავლობდეს თანატოლებთან ერთად, ერთ საგანმანათლებლო სივრცეში, სადაც სკოლის ინფრასტრუქტურა თუ სწავლების მეთოდოლოგია მათ ინდივიდუალურ საჭიროებაზე იქნება მორგებული. თუმცა, სამედიცინო დიაგნოზის არსებობა, შესაძლოა, არ გულისხმობდეს შეზღუდულ შესაძლებლობას (ეპილეფსია, დიაბეტი და სხვა) და მოსწავლეს არ ჰქონდეს სასწავლო პროცესში/საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობის ბარიერი. ასევე, მოსწავლეები, რომელთაც ფიზიკური შეზღუდვა აქვთ, შეიძლება მხოლოდ ინფრასტრუქტურის ადაპტირებას საჭიროებდნენ. შესაბამისად, შეზღუდული შესაძლებლობისგან განასხვავებენ სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროებას, რაც გულისხმობს სწავლის სირთულეებს, რომელსაც აწყდება მოსწავლე და რომლის დაძლევაც მას სპეციალური დახმარების გარეშე უჭირს (კითხვა, წერა, ანგარიში, ურთიერთობა თანატოლებთან/პედაგოგებთან და სხვა)[45].

შეზღუდული შესაძლებლობა ყოველთვის არ გულისხმობს სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროებას და პირიქით. მაგალითად, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება, შესაძლოა, ჰქონდეს მოსწავლეს, რომელსაც აქვს ქართული ენის ბარიერი, ხოლო ეტლით მოსარგებლე მოსწავლე, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გარეშეც ძლევდეს პროგრამას და მისი საჭიროება მხოლოდ ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობას უკავშირდებოდეს.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) მონაცემებით, სხვადასხვა სახის შეზღუდული შესაძლებლობით მსოფლიო მოსახლეობის 15% ცხოვრობს, რომელთაგან 2-4% მნიშვნელოვან სირთულეებს განიცდის ფუნქციონირების მხრივ.[46] შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში (მათ შორის განათლება, ჯანდაცვა, დასაქმება და სხვა) არაერთ ბარიერს აწყდებიან მათ ინდივიდუალურად საჭიროებებზე მორგებული გარემოს არ არსებობის გამო, თუმცა, ერთ-ერთ ძირითად გამოწვევად კვლავაც საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპული დამოკიდებულებები და ცნობიერების დაბალი დონე რჩება, რაც ხელს უშლის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს (ბავშვების და მოზარდების ჩათვლთ) სხვათა თანაბრად

[45] განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. ინკლუზიური განათლება - გზამკვლევი მასწავლებლებისათვის. ხელმისაწვდომია ბმულზე: http://ncp.ge/files/inclusion%20education/wignebi/I%20N%20K%20L%20U%20Z%20I%20A.pdf ბოლოს ნანახია: 07.04.2021.

[46] World Health Organization. World Report on Disability. 2011. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.who.int/teams/noncommunicable-diseases/sensory-functions-disability-and-rehabilitation/world-report-on-disability ბოლოს ნანახია:07.04.2021.

იყვნენ ჩართულები სოციალურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. სასკოლო სახელმძღვანელო კი ის რესურსია, სადაც შეზღუდული შესაძლებლობის მიუკერძოებული და სტერეოტიპებისგან თავისუფალი წარმოჩენა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ინკლუზიური საზოგადოების ფორმირებას.

3.2. შეზღუდული შესაძლებლობის ასპექტების გათვალისწინების სტრატეგიები სახელმძღვანელოში

შეზღუდული შესაძლებლობის წარმოდგენა სახელმძღვანელოში უნდა ეყრდნობოდეს ინკლუზიურობის პრინციპებს, რაც გულისხმობს შეზღუდული შესაძლებლობის წარმოჩენის არა მხოლოდ რაოდენობრივ, არამედ კონტექსტუალურ შეფასებას. ამ კუთხით, მნიშვნელოვანია, სახელმძღვანელოზე მუშობის/შეფასების პროცესში გათვალისწინებული იყოს ინკლუზიურ ენასთან და ინკლუზიურ წარმოჩენასთან დაკავშირებული საკითხები.

1. *ინკლუზიური ენა - ტერმინოლოგია*

სახელმძღვანელოში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების წარმოჩენის პროცესში გამოყენებული ტერმინოლოგია არ უნდა იყოს დისკრიმინაციული/ღირსების შემლახავი და არ უნდა წაახალისებდეს სტერეოტიპულ დამოკიდებულებებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ. მაგალითად, თუ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი აქტიურად არის ჩართული ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ თუ კულტურულ ცხოვრებაში, საზოგადოების ნაწილი ამ შემთხვევაში ხშირად აღნიშნავს, რომ „შეზღუდული შესაძლებლობა არ არსებობს“. ეს შესაძლოა, თავის თავში პოზიტიურ დამოკიდებულებას ატარებდეს, თუმცა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თემი მიიჩნევს, რომ მსგავსი მიდგომის გამო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების წინაშე არსებული ბარიერები და გამოწვევები უხილავი ხდება და კვლავინდებურად რჩება. (აღნიშნული მიდგომის გასაპროტესტებლად 2017 წელს თბილისში გაიმართა აქცია - „შეზღუდული შესაძლებლობა არსებობს“)[47].

ქვემოთ მოყვანილი ტერმინოლოგია[48] არ წარმოადგენს დისკრიმინაციული სიტყვების ამომწურავ ჩამონათვალს, თუმცა, მოყვანილია ყველაზე გავრცელებული მაგალითები:

[47] ალმანახი შეზღუდული შესაძლებლობის შესახებ. მომზადებულია „აჭარის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის“ ბაზაზე არსებული „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კლუბის“ ფარგლებში (ორგანიზაციის „ცვლილებები თანაბარი უფლებებისათვის“ მიერ). 2017.

[48] კონკრეტულ ტერმინებთან დაკავშირებით თემის წევრების/თემზე მომუშავე ორგანიზაციების შეხედულებები შესაძლოა გასხვავდებოდეს ერთმანეთისგან, შესაბამისად, მოცემული ჩამონათვალი ეყრდნობა იმ ტერმინებს, რომელსაც იყენებენ აკადემიურ წრეებში.

კომპონენტი	**დისკრიმინაციული ტერმინოლოგია**	**არადისკრიმინაციული ტერმინოლოგია**
შეზღუდული შესაძლებლობა	• უნარშეზღუდული • შეზღუდული უნარის მქონე • ავადმყოფი/ დაავადებული • სჭირს (დარღვევის ფორმა) • ჯანმრთელი/ ჩვეულებრივი ადამიანი *შეზღუდული შესაძლებლობა არ არსებობს	- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი - ადამიანი, რომელსაც აქვს (დარღვევის ფორმა) ან (დარღვევის ფორმა) მქონე ადამიანი - შეზღუდული შესაძლებლობის არ მქონე პირი *შეზღუდული შესაძლებლობა არსებობს
ფიზიკური შეზღუდული შესაძლებლობა	• ინვალიდი • ხეიბარი • ეტლს მიჯაჭვული • ეტლზე დამოკიდებული	- ეტლით/ყავარჯნით მოსარგებლე პირი - ადამიანი, რომელსაც აქვს (ფიზიკური შეზღუდული შესაძლებლობის კონკრეტული სახე)
ფსიქიკური (მენტალური) ჯანმრთელობა	• სულით ავადმყოფი • ფსიქიკურად დაავადებული • ფსიქიკური პრობლემების მქონე	- ფსიქიკური (მენტალური) ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პირი - ადამიანი, რომელსაც აქვს ფსიქიკური (მენტალური) ჯანმრთელობის პრობლემა *კონკრეტულ ფორმაზე საუბრის დროს, მიუთითეთ ჩვენება. მაგალითად, ადამიანი, რომელსაც აქვს შიზოფრენია/ დეპრესია და სხვა.
ინტელექტუალური განვითარების დარღვევა	• გონებრივად ჩამორჩენილი • გონებრივად შეზღუდული • გონებაშეზღუდული • ჩლუნგი/გონებაჩლუნგი • ჭკუასუსტი	- ინტელექტუალური განვითარების დარღვევის მქონე პირი
სენსორული განვითარების დარღვევა	• ბრმა • ყრუ-მუნჯი	- უსინათლო/მცირემხედველი - სმენის დარღვევის მქონე/ სმენადაქვეითებული/ყრუ - ადამიანი, რომელიც იყენებს სმენის დამხმარე საშუალებას - ჟესტური ენის მომხმარებელი

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება	• ინკლუზიური ბავშვი • ინკლუზიური მოსწავლე	- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვი/ მოსწავლე
სხვა	• დაუნი • აუტისტი • დიაბეტიკი • ეპილეპტიკი • ენაბლუ	- დაუნის სინდრომის მქონე - აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე - ადამიანი, რომელსაც აქვს დიაბეტი - ადამიანი, რომელსაც აქვს ეპილეფსია - მეტყველების განვითარების დარღვევის მქონე ადამიანი

2. *<u>შეზღუდული შესაძლებლობის ინკლუზიური წარმოჩენა</u>*

შეზღუდული შესაძლებლობის ინკლუზიური წარმოჩენა სახელმძღვანელოში გულისხმობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პერსონაჟების არა განცალკევებით გამოყოფას, არამედ მათ წარმოდგენას სახელმძღვანელოს ერთიან კონტექსტში - შეზღუდული შესაძლებლობის არ მქონე ადამიანებთან ერთად, სხვადასხვა სახის სოციალურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ აქტივობებში. თუმცა, მოქალაქეობის და სამოქალაქო განათლების სახელმძღვანელოებში რეკომენდირებულია მოსწავლეებისთვის ასაკის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება შეზღუდული შესაძლებლობის სახეების, მიდგომების, ტერმინოლოგიის, მითების და რეალური ფაქტების შესახებ, რაც დაეხმარება შეზღუდული შესაძლებლობის არ მქონე ბავშვებს იმის გაცნობიერებაში, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე თანატოლებისგან მათი განსხვავება პირობითია და მხოლოდ კონკრეტულ სპეციალურ საჭიროებასთან არის დაკავშირებული.

ამ კუთხით, მნიშვნელოვანია, რომ სახელმძღვანელო არ ფოკუსირდეს შეზღუდული შესაძლებლობის სამედიცინო ან საქველმოქმედო მოდელებზე (რაც გულისხმობს აქცენტის გაკეთებას სამედიცინო დიაგნოზზე ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ქველმოქმედების ობიექტებად წარმოჩენაზე, რომელებიც მუდმივად საჭიროებენ ჩვენს დახმარებას). სახელმძღვანელოს კონტენტი უნდა ეფუძნებოდეს შეზღუდული შესაძლებლობის უფლებადაცვით მოდელს, რაც ხაზს უსვამს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს სხვათა თანაბრად აქვთ ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, რომელთა უზრუნველყოფაც სტერეოტიპული დამოკიდებულებებისგან თავისუფალ, მათ ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებულ გარემოში უნდა მოხდეს.

შეზღუდული შესაძლებლობის ინკლუზიური წარმოჩენა სახელმძღვანელოში:

შეფასების ჩარჩო

კომპონენტი	შეკითხვა	შეფასება	რეკომენდაცია
პერსონაჟები[49]	რამდენად თანაბრად არიან წარმოდგენილნი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პერსონაჟები სახელმძღვანელოში? (ტექსტური მასალა და ილუსტრაციები)	სახელმძღვანელოში არ არიან წარმოდგენილნი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები; სახელმძღვანელო წარმოაჩენს მხოლოდ კონკრეტული სახის შეზღუდულ შესაძლებლობას (მაგალითად, მხოლოდ ეტლით მოსარგებლე პირებს); სახელმძღვანელო წარმოაჩენს მხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბიჭებს/კაცებს ან/და კონკრეტული რელიგიის ან ეთნიკური კუთვნილების მქონე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს.	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და შეზღუდული შესაძლებლობის არ მქონე პერსონაჟები წარმოადგინეთ თანაბრად როგორც ტექსტურ მასალაში, ასევე, ილუსტრაციებში; (პერსონაჟებთან თვითიდენტიფიცირების თანაბარი შესაძლებლობა) წარმოაჩინეთ შეზღუდული შესაძლებლობის ფართო სპექტრი; შეზღუდული შესაძლებლობის წარმოჩენის პროცესში გაითვალისწინეთ გენდერული, ეთნიკური, რელიგიური ასპექტები და სხვა მრავალფეროვანი იდენტობა.

[49] პერსონაჟებში იგულისხმებიან ტექსტურ მასალაში და ილუსტრაციებში წარმოჩენილი როგორც გამოგონილი გმირები, ასევე, რეალური ადამიანები (ისტორიული ფიგურები, საზოგადო მოღვაწეები და სხვა).

სტერეოტიპული წარმოჩენა[50]	რამდენად სტერეოტიპულად წარმოაჩენს სახელმძღვანელო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პერსონაჟებს? (ტექსტური მასალა და ილუსტრაციები)	სახელმძღვანელოში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პერსონაჟები წარმოჩენილნი არიან სტერეოტიპულ კონტექსტში: • მუდმივად სხვაზე არიან დამოკიდებულნი და დახმარების გარეშე არ შეუძლიათ ფუნქცნიორება; • მათ მიერ ყოველდღიური საქმიანობის შესრულება წარმოჩენილია, როგორც გმირობა; • იწვევენ „სიბრალულს“ ან/და არიან „ქველმოქმედების“ ობიექტები (მაგალითად, ჩვენ მათ უნდა ვემეგობროთ, დავეხმაროთ, რაც ჩვენ „დიდსულოვნებას“ გაუსვამს ხაზს და სხვა); • მათი პიროვნული თვისებები განსაზღვრულია მათი შეზღუდული შესაძლებლობით (მოწყენილები, არასრულყოფილები, ეძებენ „განკურნების“ გზას და სხვა); • შეზღუდული შესაძლებლობის გამო მათ განსაკუთრებულად აქვთ განვითარებული სხვა უნარ-ჩვევები ან თვისებები, რითაც ახდენენ შეზღუდული შესაძლებლობის კომპენსირებას (მაგალითად, განსაკუთრებით კეთილები, ემოციურები, ჭკვიანები და სხვა).	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პერსონაჟები წარმოაჩინეთ როგორც ადამიანები, რომლებიც: • ცხოვრებენ და ფუნქცნიონირებენ დამოუკიდებლად; • აქვთ მრავალფეროვანი ინდივიდუალური პიროვნული მახასიათებლები/ შესაძლებლობები; • სხვათა თანაბრად აქვთ ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, რომელთა უზრუნველყოფაც არ არის „ქველმოქმედება“.

[50] შემუშავებულია შემდეგ წყაროზე დაყრდნობით: EVALUATING CHILDREN'S BOOKS THAT ADDRESS DISABILITY. 2013. Anti-Defamation League. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.adl.org/sites/default/files/documents/assets/pdf/education-outreach/evaluating-children-s-books-that-address-disability.pdf ბოლოს ნანახია: 07.04.2021.

საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობა	რამდენად წარმოაჩენს სახელმძღვანელო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პერსონაჟებს საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში? (ტექსტური მასალა და ილუსტრაციები)	სახელმძღვანელო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პერსონაჟებს წარმოადგენს სპეციალურ პროგრამებში/ გარემოში, შეზღუდული შესაძლებლობის არ მქონე პერსონაჟებისგან განცალკევებით; სახელმძღვანელო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პერსონაჟებს არ წარმოაჩენს მათი ასაკობრივი ჯგუფისთვის დამახასიათებელ საქმიანობაში; სახელმძღვანელო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პერსონაჟებს წარმოადგენს პასიურ როლში, ზრუნვის ობიექტებად.	სოციალურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ აქტივობებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პერსონაჟები წარმოადგინეთ შეზღუდული შესაძლებლობის არ მქონე პერსონაჟებთან ერთად; წარმოაჩინეთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პერსონაჟები მრავალფეროვანი და აქტიური სოციალური როლებით/ფუნქციებით, როგორც ოჯახში, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაში (ქორწინებაში მყოფი პირები, მშობლები, პოლიტიკოსები, მეცნიერები და სხვა).

4. ეთნიკური და რელიგიური ნიშანი

4.1. ეთნიკური და რელიგიური კუთვნილება და მრავალფეროვნება

კონკრეტული ქვეყნის ტერიტორიაზე მცხოვრები ადამიანების ეთნიკური და რელიგიური კუთვნილება,[51] შესაძლოა, უკავშირდებოდეს განსხვავებულ ენას, კულტურას, წეს-ჩვეულებებს, ტრადიციებს და სხვა, თუმცა, მოქალაქეობა და ეროვნული იდენტობა არ განისაზღვრება ადამიანის ეთნიკური თუ რელიგიური კუთვნილებით, რასაც ადასტურებს ქვეყნის ისტორიაში თუ მის სოციალურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებაში მრავალფეროვანი რელიგიური და ეთნიკური იდენტობის მქონე ადამიანების მიერ შეტანილი წვლილი.

ეთნიკური და რელიგიური კუთვნილება ხშირად გამოიყენება ერთიან კონტექსტში, თუმცა, რელიგიურობაც და არარელიგიურობაც ადამიანის კონსტიტუციით დაცული ძირითადი თავისუფლებების რიცხვს მიეკუთვნება, რაც შესაძლოა, საერთოდ არ უკავშირდებოდეს ეთნიკურ კუთვნილებას და პირიქით. ყველა შემთხვევაში, განსხვავებულთა მშვიდობიანი თანაარსებობა ქვეყნის დემოკრატიული განვითარების მნიშვნელოვანი კომპონენტია და ადამიანის უფლებები, მისი რელიგიური და ეთნიკური კუთვნილების მიუხედავად, თანაბრად უნდა იყოს დაცული.

ეთნიკური მრავალფეროვნება საქართველოში[52]	რელიგიური მრავალფეროვნება საქართველოში[53]
• 86.8% - ეთნიკურად ქართველი • 6.3 % - ეთნიკურად აზერბაიჯანელი • 4.5 % - ეთნიკურად სომეხი • 0.7% - ეთნიკურად რუსი • 0.4% - ეთნიკურად ოსი • 0.3% - ეთნიკურად იეზიდი • 0.2% - ეთნიკურად უკრაინელი • 0.2% - ეთნიკურად ქისტი • 0.1% - ეთნიკურად ბერძენი • 0.1% - ეთნიკურად ასიერელი • 0.4% - სხვა	• 83.4% - მართლმადიდებელი ქრისტიანი • 10.7% - მუსლიმი • 2.9% - სომეხთა სამოციქულო ეკლესიის წევრი • 3% - კათოლიკე ეკლესია, იეჰოვას მოწმეები, იეზიდური, პროტესტანტული და იუდაური თემები. აქ იგულისხმებიან, ასევე, ის ადამიანებიც, რომლებიც თავს არცერთ რელიგიას არ მიაკუთვნებენ.

[51] ეთნიკური მიკუთვნებულობა - განისაზღვრება, როგორც გაზიარებული კულტურული მემკვიდრეობა: რელიგია, ენა, კულტურა, ტრადიციები, რომლებიც აერთიანებს ადამიანებს. რელიგიური უმცირესობა - საზოგადოებაში ან კულტურაში ფართოდ გავრცელებული რელიგიისგან განსხვავებული რელიგიური იდენტობის ან პრაქტიკის მიმდევრები. https://www.tdi.ge/sites/default/files/tdi-research-cover-geo-web.pdf

[52] იქვე.

[53] იქვე.

ისტორიულად, საქართველო ყოველთვის მიეკუთვნებოდა მულტიკულტურული ქვეყნების რიცხვს, სადაც მრავალფეროვანი იდენტობის მქონე ჯგუფები მშვიდობიანად თანაარსებობდნენ (რის ერთ-ერთ თვალსაჩინო მაგალითსაც, თბილისში სხვადასხვა რელიგიის სარიტუალო ნაგებობების გვერდიგვერდ თანაარსებობა წარმოადგენს), თუმცა, ქვეყნის უახლოეს ისტორიაში განვითარებულმა მოვლენებმა თავისი როლი ითამაშა მათ შორის ეთნიკური და რელიგიური უმცირესობებისადმი არსებული დამოკიდებულებების ცვლილებაში (მაგალითად, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ პოლიტიკური რიტორიკა ნაციონალურ გრძნობებს ემყარებოდა - „საქართველო ქართველებისთვის“ - რაც მნიშვნელოვნად ასახავს ეთნიკურ და მათ შორის, რელიგიურ უმცირესობათა მიმართ არსებულ განწყობებს[54]). ისტორიული გამოცდილების მიუხედავად, საქართველოში მცხოვრები მრავალფეროვანი ეთნიკური და რელიგიური იდენტობის მქონე ადამიანები დღემდე აწყდებიან არაერთ გამოწვევას საზოგადოებაში ინტეგრაციის, ქვეყნის სოციალურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში ჩართვის კუთხით.

ერთი მხრივ, ენობრივი ბარიერის თუ პოლიტიკური სუბიექტების მხრიდან აღნიშნული თემისადმი გამოხატული ნაკლები ინტერესის გამო, თავად ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებსაც ნაკლებად აქვთ სახელმწიფოსთან პოლიტიკური იდენტობის განცდა და მათი უმეტესობა სრულად არის დისტანცირებული ქართული საზოგადოებისგან,[55] ხოლო მეორე მხრივ, ცნობიერების დაბალი დონე ქვეყნის განვითარებაში მათ მიერ შეტანილ ისტორიულ წვლილსა და განსხვავებულობის აღიარების და პატივისცემის, როგორც დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი ძირითადი პრინციპის, შესახებ, მნიშვნელოვნად უწყობს ხელს „ქართველობის“, როგორც ეროვნული იდენტობის, დაკავშირებას რელიგიასთან და ეთნიკურ კუთვნილებასთან და შესაბამისად, საზოგადოების ორ მხარედ დაყოფას: „ჩვენ“ და „ისინი“.

4.2. ეთნიკური და რელიგიური ასპექტების გათვალისწინების სტრატეგიები სახელმძღვანელოში

სასკოლო სახელმძღვანელო, რომლის კონტენტიც სამართლიანად და ზუსტად წარმოაჩენს მრავალფეროვან ეთნიკურ და რელიგიურ კუთვნილებას, ხაზს უსვამს მათ ისტორიულ როლს ქვეყნის განვითარებაში და აძლევს თითოეულ მოსწავლეს არა მხოლოდ კულტურათაშორისი განსხვავებების, არამედ მსგავსებების აღმოჩენის შესაძლებლობასაც, ერთი მხრივ, წაახალისებს მოსწავლეებს, გაიაზრონ მშვიდობიანი თანაარსებობის მნიშვნელობა, ხოლო მეორე მხრივ, ხელს უწყობს მრავალფეროვანი ეთნიკური და რელიგიური კუთვნილების მქონე მოსწავლეებს, მოახდინონ სახელძღვანელოს პერსონაჟებთან, როგორც მისაბაძ

[54] იქვე.

[55] კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი. ღია საზოგადოების ფონდი. „ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის კვლევა“. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://cutt.ly/WvvsOpL ბოლოს ნანახია: 17.04.2021.

მაგალითებთან, თვითიდენტიფიცირება. მაგალითად, მნიშვნელოვანია, რომ სასკოლო სახელმძღვანელო ეროვნულ იდენტობას („ქართველობას“) მხოლოდ ქართულ სახელსა და გვარს, ეთნიკურად ქართველი წინაპრების ყოლას ან მართლმადიდებელ ქრისტიანულ რელიგიას არ უკავშირებდეს და აქცენტს მოქალაქეობრივ კუთვნილებაზე, პლურალიზმის მნიშვნელობასა და ეროვნული იდენტობის ინდივიდუალური განსაზღვრის თავისუფლებაზე აკეთებდეს.

1. *ინკლუზიური ენა - ტერმინოლოგია* [56]

სასკოლო სახელმძღვანელოზე მუშობისა და მისი შეფასების პროცესში აუცილებელია იმის გათვალისწინება, რომ საკლასო ოთახი მრავალფეროვანი ეთნიკური და რელიგიური იდენტობის მქონე მოსწავლეებისგან შედგება. შესაბამისად, მნიშნელოვანია, რომ ეთნიკური და რელიგიური საკითხების ან/და პერსონაჟების წარმოჩენის პროცესში გამოყენებული ტერმინოლოგია არ იყოს დისკრიმინაციული, შეურაცხმყოფელი, ღირსების შემლახავი და არ წაახალისებდეს ნეგატიურ წინასწარგანწყობებს ან შუღლს ეთნიკურ და რელიგიურ ნიადაგზე.

დისკრიმინაციული ტერმინოლოგია[57]	**განმარტება**	**არადისკრიმინაციული ტერმინოლოგია**
ერთმორწმუნე ერი მაჰმადიანური სამყარო მაჰმადიანი მუსლიმი დამპყრობლები	წარმოაჩენს ისლამს, როგორც მტრულ რელიგიას და ხელს უწყობს შეუწყნარებლობისა და შუღლის გაღვივებას.	დაასახელეთ კონკრეტული ქვეყნები/იმპერიები; გამოიყენეთ ტერმინები - ისლამი, მუსლიმი.
ჩვენი რელიგია ჩვენი ეკლესია	პირველ პირში თხრობა წარმოადგენს მიკერძოებულ ენას/ სუბიექტურ პოზიციას, რაც გამორიცხავს ეროვნული იდენტობის პროცესში მრავალფეროვან რელიგიურ იდენტობას.	კონკრეტულ რელიგიაზე თხრობის პროცესში გამოიყენეთ მესამე პირი. მაგალითად, ქრისტიანული რელიგია.
გრიგორიანული ეკლესია გრიგორიანელები	ტერმინი ცვლის აღმსარებლობის შინაარსს.	სომეხთა სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესია
სექტა სექტანტები	შეიცავს ნეგატიურ შინაარსს კონკრეტულ ჯგუფებთან მიმართებაში.	რელიგიური გაერთიანება
საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელები/ ოსები	ეროვნულ იდენტობას უკავშირებს ეთნიკურ კუთვნილებას	ქართველ-აზერბაიჯანელები ქართველ-ოსები

[56] შემუშავებულია შემდეგ წყაროზე დაყრდნობით: გზამკვლევი სახელმძღვანელოების ავტორებისთვის. 2018. ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI). ხელმისაწვდომია ბმულზე: http://tdi.ge/sites/default/files/tdi_brochure.pdf ბოლოს ნანახია: 17.04.2021.

[57] თუკი ღირსების შემლახავი ტერმინი მოცემულია ისტორიულ წყაროში, აუცილებელია სარედაქციო კომენტარის/განმარტების გაკეთება.

ზანგი	უკავშირდება რასისტული დამოკიდებულების გამოხატვას, მონობას, ჩაგვრას და სხვა.	შავკანიანი, აფრო-ამერიკელი
თათარი გათათრება	ატარებს უარყოფით კონტექსტს ეთნიკურად თურქების ან ქართველი მუსლიმების მიმართ.	მუსლიმი ისლამის მიღება
გადამთიელი/ უცხოტომელი მომხვდური ურჯულო	ხელს უწყობენ შეუწყნარებლობის და ქსენეფობიური დამოკიდებულებების გაღვივებას.	• უცხოელი • დამპყრობელი • არაქრისტიანი, სხვა აღმსარებლობის მქონე

ეთნიკური და რელიგიური მრავალფეროვნების წარმოჩენა სახელმძღვანელოში: შეფასების ჩარჩო[58]

კომპონენტი	**შეკითხვა**	**შეფასება**	**რეკომენდაცია**
პერსონაჟები[59]	რამდენად თანაბრად არიან წარმოდგენილნი მრავალფეროვანი ეთნიკური და რელიგიური იდენტობის მქონე პერსონაჟები სახელმძღვანელოში? (ტექსტური მასალა და ილუსტრაციები)	სახელმძღვანელოს პერსონაჟები არიან მხოლოდ/ძირითადად: • ეთნიკურად ქართველები; • მართლმადიდებელი ქრისტიანები. სახელმძღვანელო წარმოაჩენს მრავალფეროვანი ეთნიკური და რელიგიური იდენტობის მქონე პერსონაჟებს, თუმცა, მიკერძოებულია სქესის ნიშნით; (მაგალითად, წარმოაჩენს მხოლოდ მუსლიმ ან ქართველ-აზერბაიჯანელ კაცებს და სხვა.) სახელმძღვანელო პერსონაჟის ეროვნულ იდენტობას უკავშირებს ეთნიკურ და რელიგიურ კუთვნილებას. (მაგალითად, იყო ქართველი, ნიშნავს იყო მართლმადიდებელი ქრისტიანი, გქონდეს ქართული სახელი და გვარი, გყავდეს ეთნიკურად ქართველი წინაპრები და სხვა.)	თანაბრად წარმოაჩინეთ მრავალფეროვანი ეთნიკური და რელიგიური იდენტობის მქონე პერსონაჟები როგორც ტექსტურ მასალაში, ასევე, ილუსტრაციებში; (პერსონაჟებთან თვითიდენტიფიცირების თანაბარი შესაძლებლობა) თანაბრად წარმოაჩინეთ გოგო/ქალი და ბიჭი/კაცი პერსონაჟები; ეროვნული იდენტობა განიხილეთ ეთნიკური და რელიგიური ნიშნისგან დამოუკიდებლად, მოქალაქეობის, პიროვნების ინდივიდუალური და თავისუფალი არჩევანის კონტექსტში.

[58] შემუშავებულია შემდეგ წყაროებზე დაყრდნობით:
- UNESCO. Making textbook content inclusive: A focus on religion, gender, and culture. UNESCO. 2017.
- გზამკვლევი სახელმძღვანელოების ავტორებისთვის. 2018. ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI).

[59] პერსონაჟებში იგულისხმებიან ტექსტურ მასალაში და ილუსტრაციებში წარმოჩენილი

მიკერძოებული წარმოჩენა	რამდენად მიკერძოებულია სახელმძღვანელოში მრავალფეროვანი ეთნიკური და რელიგიური იდენტობის მქონე პერსონაჟების წარმოჩენა? (ტექსტური მასალა და ილუსტრაციები)	კონკრეტული იდენტობის წარმოჩენის პროცესში გამოყენებულია განზოგადებული ენა; (ქრისტიანები იცავენ მარხვას) ტრადიციების წარმოჩენის პროცესში სახელმძღვანელო მიკერძოებულია ეთნიკური და რელიგიური ნიშნით; სახელმძღვანელო არ წარმოაჩენს იმ ადამიანების პერსპექტივას, რომლებიც არ აღიარებენ არცერთ რელიგიას; სახელმძღვანელოში ეთნიკური ან/და რელიგიური კუთვნილება წარმოჩენილია სტერეოტიპულ კონტექსტში. (მაგალითად, ებრაელები არიან ვაჭრები, ქურთები მეეზოვეები და სხვა.)	გამოიყენეთ არაგანზოგადებული ენა ეთნიკური და რელიგიური იდენტობის წარმოჩენის პროცესში; (ქრისტიანთა ნაწილი იცავს მარხვას) თანაბრად წარმოაჩინეთ მრავალფეროვანი კულტურული, ეთნიკური და რელიგიური იდენტობის მქონე ჯგუფების ტრადიციები; (მაგალითად, საქორწინო რიტუალები, დღესასწაულები, სამოსი და სხვა) წარმოაჩინეთ არარელიგიური ადამიანების ინდივიდუალურ ღირებულებები დადებით კონტექსტში; არ მოახდინოთ საქმიანობის სტერეოტიპიზაცია ეთნიკური ან რელიგიური კუთვნილების ნიშნით.
ისტორიული და სოციალური კონტექსტი	რამდენად თანაბრად წარმოაჩენს სახელმძღვანელო მრავალფეროვანი ეთნიკური და რელიგიური იდენტობის მქონე ჯგუფების როლს ქვეყნის სოციალურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებაში?	სახელმძღვანელოში არ არის წარმოჩენილი ის წვლილი, რომელიც ისტორიული, სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურის მიმართულებით სხვადასხვა სფეროში შეიტანეს მრავალფეროვანი ეთნიკური და რელიგიური იდენტობის მქონე ჯგუფებმა. (ხელოვნება, მეცნიერება, ლიტერატურა, არქიტექტურა, მხატვრობა, ეროვნული გმირები და სხვა)	ისტორიულ და სოციალურ კონტექსტში თანაბრად წარმოაჩინეთ მრავალფეროვანი რელიგიური და ეთნიკური იდენტობის მქონე ჯგუფების როლი/ წვლილი საზოგადოების სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების განვითარებაში.

როგორც გამოგონილი გმირები, ასევე, რეალური ადამიანები (ისტორიული ფიგურები, საზოგადო მოღვაწეები და სხვა).

„ჩვენ“ და „ისინი“	რამდენად უწყობს ხელს სახელმძღვანელოს კონტენტი მრავალფეროვანი რელიგიური და ეთნიკური იდენტობის მქონე ჯგუფების საპირისპირო მხარეებად დაყოფას?	საქართველოში მცხოვრები მრავალფეროვანი ეთნიკური და რელიგიური იდენტობების მქონე ჯგუფები წარმოდგენილნი არიან „სტუმრის“, ხოლო ეთნიკურად ქართველები „მასპინძლის“ როლში; მრავალფეროვანი ეთნიკური და რელიგიური იდენტობების მქონე ჯგუფები წარმოდგენილნი არიან ნეგატიურ როლში (ტერორისტები, დამპყრობლები და სხვა); სახელმძღვანელოს კონტენტი წარმოაჩენს მრავალფეროვანი ეთნიკური და რელიგიური იდენტობის მქონე ჯგუფებს შორის არსებულ მხოლოდ ნეგატიურ გამოცდილებას (კონფლიქტები, შუღლი და სხვა).	მრავალფეროვანი ეთნიკური და რელიგიური იდენტობის მქონე ჯგუფები წარმოაჩინეთ თანაბარ და თანასწორ კონტექსტში, არ დაუკავშიროთ ეროვნული იდენტობა რელიგიურ ან ეთნიკურ კუთვნილებას. ყურადღება გაამახვილეთ თანასწორობასა და მშვიდობიან თანაარსებობაზე; წარმოაჩინეთ რელიგიურ ტოლერანტობასთან დაკავშირებული საკითხები, რელიგიური და ეთნიკური მრავალფეროვნების მნიშვნელობა საზოგადოებისთვის; წარმოაჩინეთ ერთ ქვეყანაში მცხოვრები მრავალფეროვანი ეთნიკური და რელიგიური იდენტობის მქონე ჯგუფების საერთო ისტორიული გამოცდილება, ტრადიციები და შეხედულებები; წაახალისეთ მოსწავლეები, იკვლიონ მრავალფეროვანი იდენტობის მქონე ჯგუფების მშვიდობიანი თანაარსებობის საკითხები/ წარმოაჩინეთ მრავალფეროვანი იდენტობის მქონე ჯგუფების მშვიდობიანი თანაარსებობის პოზიტიური ისტორიული გამოცდილება.

ლექსიკონი [60]

განზოგადებული ენა - სიტყვები და ფრაზები, რომელიც კონკრეტულ ჯგუფს წარმოაჩენს გამარტივებულად ან/და მის რომელიმე მახასიათებელს განაზოგადებს ჯგუფის ყველა წევრზე.

გენდერი - სოციალური და კულტურული კონსტრუქტი, რომელიც ეხება ადამიანის როლებს, მის ფუნქციებსა და მახასიათებლებს სქესის ნიშნით. გენდერი უკავშირდება იმ შეხედულებებს და მოლოდინებს, რომელიც საზოგადოებაში არსებობს გოგონების/ქალების, ბიჭების/კაცების და მათი სავარაუდო ქცევების მიმართ.

გენდერული თანასწორობა - თითოეული ადამიანის უფლება, სქესის მიუხედავად, ჰქონდეს საკუთარი პოტენციალის რეალიზების თანაბარი პირობები და თანაბარი შესაძლებლობა, მონაწილეობდეს/იღებდეს სარგებელს ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და პოლიტიკური ცხოვრების განვითარებისგან.

გენდერული იდენტობა - ფუნდამენტური განცდა, რომელიც დაკავშირებულია რომელიმე სქესთან მიკუთვნებულობის შეგრძნებასთან.

გენდერული სტერეოტიპი - კონკრეტულ კულტურაში გაბატონებული შეხედულება ქალის და კაცის თვისებების, ფუნქციების, ქცევისა და როლების შესახებ.

გენდერული როლი - ქცევის ნიმუში, რომლის შესრულებაც დაკავშირებულია ადამიანის სქესთან.

დისკრიმინაცია - ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვა ან უპირატესობის მინიჭება რაიმე ნიშნით (სქესი, ეთნიკური ან რელიგიური კუთვნილება, შეზღუდული შესაძლებლობა და სხვა); ისეთი მოპყრობა ან პირობების შექმნა, რომელიც არახელსაყრელ მდგომაროებაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ პირებს ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს.

ეთნიკური მიკუთვნებულობა - გაზიარებული კულტურული მემკვიდრეობა: რელიგია, ენა, კულტურა, ტრადიციები, რომლებიც აერთიანებს ადამიანებს.

ეროვნული იდენტობა - კონკრეტულ სახელმწიფოსთან/ერთან მიკუთვნებულობის განცდა.

თანასწორობა - დემოკრატიული სახელმწიფოს ერთ-ერთ ფუნდამენტურ ღირებულება, რაც მოიცავს ყველა ადამიანის უფლებას, იყოს დაცული რაიმე ნიშნის საფუძველზე განსხვავებული მოპყრობისგან, ჰქონდეს თვითრეალიზების თანაბარი შესაძლებლობა და თანაბრად მიუწვდებოდეს ხელი არსებულ რესურსებზე.

ინკლუზიური ენა - ნეიტრალური, არამიკერძოებული ენა (სიტყვები, ფრაზები),

[60] მომზადებულია გზამკვლევში გამოყენებულ წყაროებსა და სამოქალაქო განათლების ენციკლოპედიურ ლექსიკონზე (http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php) დაყრდნობით.

რომელიც არ წაახალისებს უთანასწორობას რაიმე ნიშნით და არ ახდენს ნაკლებად პრივილეგირებული ჯგუფების გამორიცხვას.

ინტერსექციულობა - ანალიტიკური ჩარჩო, რომელიც უკავშირდება დისკრიმინაციისა და პრივილეგიების სხვადასხვა მოდელის შექმნის პროცესში პიროვნების განსხვავებული იდენტობების გავლენას.

მიკერძოებული ენა - სიტყვები ან ფრაზები, რომელიც წაახალისებს ცრურწმენებს, აძლიერებს სტიგმას, არის შეურაცხმყოფელი, საზიანო ან/და მათში გამოხატული მოსაზრებები გამორიცხავს ადამიანებს სხვადასხვა ნიშნით ან არათანაბრად წარმოადგენს მრავალფეროვან ჯგუფებს.

ინკლუზია (ჩართულობა - მონაწილეობა) - პრინციპი, რომლის თანახმადაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი განიხილება საზოგადოების სრულფასოვან წევრად და სხვათა თანასწორად მონაწილეობს საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ინტეგრაცია (შერწყმა - შეერთება) - პრინციპი, რომლის თანახმადაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები უნდა სარგებლობდნენ საჯარო სივრცით (სკოლა, ტრანსპორტი და სხვა), თუმცა, ამ სარგებლობის არეალი მათთვის გამოყოფილი უნდა იყოს.

რელიგიური უმცირესობა - საზოგადოებაში ან კულტურაში ფართოდ გავრცელებული რელიგიისგან განსხვავებული რელიგიური იდენტობის ან პრაქტიკის მიმდევრები.

სეგრეგაცია (გამოყოფა - გამოცალკევება) - პრინციპი, რომლის თანახმადაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები უნდა იმყოფებოდნენ ცალკე დაწესებულებებში, სპეციალიზირებულ სკოლებში და სხვა.

სექსიზმი - იდეოლოგია, რომელიც აღიარებს ადამიანების დისკრიმინაციას ან/და გარკვეული უპირატესობის მინიჭებას სქესის ნიშნით.

სექსუალური ორიენტაცია - აღწერს ადამიანის ფიზიკურ, რომანტიკულ ან/და ემოციურ მიზიდულობას საკუთარი, საპირისპირო ან ორივე სქესისადმი.

სოციალური როლი - ქცევის ნიმუში, რომლის შესრულებაც დაკავშირებულია პიროვნების სტატუსთან ან გარკვეულ სოციალურ სიტუაციასთან.

სტერეოტიპი - გამარტივებული ან/და განზოგადებული შეხედულება ადამიანთა გარკვეული ჯგუფის შესახებ, რომელმაც შესაძლოა, გამოიწვიოს ნეგატიური წინასწარგანწყობების ჩამოყალიბება და დისკრიმინაცია.

სქესი - ადამიანის ფიზიკური და ბიოლოგიური მახასიათებლების ერთობლიობა.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება - სწავლის სირთულეები, რომელსაც აწყდება მოსწავლე და რომლის დაძლევაც მას სპეციალური დახმარების გარეშე უჭირს (კითხვა, წერა, ანგარიში, ურთიერთობა თანატოლებთან/პედაგოგებთან და სხვა).

ფემინური/მასკულინური - „ქალური/კაცური“ - ტერმინები აღნიშნავს ადამიანის სქესთან ასოცირებულ მახასიათებლებს.

შეზღუდული შესაძლებლობა - ფიზიკური, ფსიქიკური, ინტელექტუალური ან სენსორული მყარი დარღვევა, რომელთა ურთიერთქმედებამ სხვადასხვა დაბრკოლებასთან, შესაძლოა, ხელი შეუშალოს ამ პირის სრულ და ეფექტურ მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში სხვებთან თანაბარ პირობებში.

ძალადობა გენდერული ნიშნით - ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური ან/და სექსუალური ძალადობა, რომელიც ჩადენილია ქალისა და კაცის სოციალურად მიკუთვნებული (გენდერული) განსხვავებების საფუძველზე. შეიძლება მოიცავდეს ძალადობის ისეთ ფორმებს, როგორიც არის: ტრეფიკინგი, სექსუალური ძალადობა და სექსუალური ექსპლუატაცია, ადრეულ/ბავშვობის ასაკში ქორწინება, სასქესო ორგანოების დამახინჯება, „ღირსების“ მკვლელობა და სხვა.

წინასწარგანწყობა - პიროვნების, იდეის, საგნის ან რაიმე მოვლენის შესახებ სტერეოტიპებზე დაფუძნებული წინასწარი შეხედულების ჩამოყალიბება საკმარისი ინფორმაციის მოძიებამდე, წინარეკონცეფცია.

ბიბლიოგრაფია

A Comprehensive Strategy for Textbooks and Learning Materials. UNESCO. 2005. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://cutt.ly/ub6lO3s ბოლოს ნანახია: 20.03.2021.

Making textbook content inclusive: A focus on religion, gender, and culture. UNESCO. 2017. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://cutt.ly/cb6lSYW ბოლოს ნანახია. 20.03.2021.

Nordquist, Richard. "Biased Language Definition and Examples." ThoughtCo, Aug. 25, 2020. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://cutt.ly/8b6lGib ბოლოს ნანახია 21.02.2021.

Green River College. Holman Library. Diversity, Equity, Inclusion, and Culturally Responsive Education: Intersectionality & Identity. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://cutt.ly/kb6lH5I ბოლოს ნანახია. 21.03.2021.

A manual for human rights education © UNESCO 1998 ხელმისაწვდომია ბმულზე: https://cutt.ly/ib6lXTQ ბოლოს ნანახია: 21.03.2021.

GENDER EQUALITY. Glossary of Terms and Concepts. UNICEF Regional Office for South Asia. 2017. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://cutt.ly/Rb6lC4M ბოლოს ნანახია: 27.03.2021.

Women in Science, Technology, Engineering, and Mathematics (STEM): Quick Take. CATALYST. 2020. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://cutt.ly/Hb6lBaF ბოლოს ნანახია: 30.03.2021.

King, T.L., Shields, M., Sojo, V. *et al.* Expressions of masculinity and associations with suicidal ideation among young males. *BMC Psychiatry* 20, 228 (2020). ხელმისაწვდომია ბმულზე: https://cutt.ly/Cb6lMi6 ბოლოს ნანახია: 30.03.2021.

Slatcher, R., & Pennebaker, J. (2007). Emotional expression and health. In S. Ayers, A. Baum, C. McManus, S. Newman, K. Wallston, J. Weinman, et al. (Eds.), Cambridge Handbook of Psychology, Health and Medicine (pp. 84-87). Cambridge: Cambridge University Press. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://cutt.ly/8b6l1OX ბოლოს ნანახია: 30.03.2021.

How gender stereotyping affects the enjoyment of human rights. OHCHR. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://cutt.ly/Ob6l0Lh ბოლოს ნანახია: 30.03.2021.

Promoting Gender Equality though Textbooks. A Methodological guide. UNESCO. 2009. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://cutt.ly/Jb6l9gP ბოლოს ნანახია: 31.03.2021.

Centers for Disease Control and Prevention. Disability and Health Overview. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://cutt.ly/Yb6l3Wn ბოლოს ნანახია: 07.04.2021.

World Health Organization. World Report on Disability. 2011. ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/Qb6l8R1 ბოლოს ნანახია: 07.04.2021

EVALUATING CHILDREN'S BOOKS THAT ADDRESS DISABILITY. 2013. Anti-Defamation

League. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://cutt.ly/Eb6l7rW ბოლოს ნანახია: 07.04.2021.

სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი. ღია საზოგადოების ფონდი. „ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის კვლევა“. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://cutt.ly/WvvsOpL ბოლოს ნანახია: 17.04.2021.

CSS. ლექსიკონი - ცნობარი სოციალურ მეცნიერებებში. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://cutt.ly/Tb6l5Rg ბოლოს ნანახია: 07.04.2021.

National Parliamentary Library of Georgia. Civil ენციკლოპედიური ლექსიკონი. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://cutt.ly/ab6zqa3 ბოლოს ნანახია: 07.04.2021.

Connect-Ed. სახელმძღვანელო ახალგაზრდული მუშაკებისა და თანასწორგანმანათლებლებისათვის. ახალგაზრდობის განვითარების ცენტრი XXI. 2020. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://cutt.ly/hb6zwH4 ბოლოს ნანახია. 21.05.2021.

კულტურული მრავალფეროვნების შესახებ UNESCO-ს საყოველთაო დეკლარაცია. 2001. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://cutt.ly/Hb6zyTm ბოლოს ნანახია: 21.03.2021.

გზამკვლევი სახელმძღვანელოების ავტორებისთვის. 2018. ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI). ხელმისაწვდომია ბმულზე: https://cutt.ly/hb6zijz ბოლოს ნანახია: 17.04.2021.

ალმანახი შეზღუდული შესაძლებლობის შესახებ. მომზადებულია „აჭარის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის“ ბაზაზე არსებული „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კლუბის“ ფარგლებში (ორგანიზაციის „ცვლილებები თანაბარი უფლებებისათვის“ მიერ). 2017.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://cutt.ly/qb6zpXU. ბოლოს ნანახია: 23.04.2021.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. ინკლუზიური განათლება - გზამკვლევი მასწავლებლებისათვის. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://cutt.ly/eb6zdmI ბოლოს ნანახია: 04.11.2021.

რესურსები და სასარგებლო ბმულები

- **საქართველოს სახალხო დამცველი https://www.ombudsman.ge/**
  - ბროშურები და ბუკლეტები:
    https://www.ombudsman.ge/geo/broshurebi-da-bukletebi
  - სახელმძღვანელოები და კვლევები:
    https://www.ombudsman.ge/geo/sakhelmdzghvaneloebi-da-kvlevebi
  - თანასწორობის მდგომარეობის შესახებ მე-7 სპეციალური ანგარიში:
    https://www.ombudsman.ge/res/docs/2021050611590027208.pdf
  - კვლევა ადამიანის უფლებების სწავლებისა და სასწავლო გარემოს შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო სივრცეში:
    https://www.ombudsman.ge/res/docs/2019040213373489023.pdf
  - გენდერის დეპარტამენტი:
    https://ombudsman.ge/geo/genderuli-tanastsoroba
  - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დეპარტამენტი:
    https://ombudsman.ge/geo/shshm-pirta-uflebebis-konventsiis-monitoringi
  - თანასწორობის დეპარტამენტი:
    https://ombudsman.ge/geo/anti-diskriminatsiuli-elementi
  - ადამიანის უფლებათა სწავლების დეპარტამენტი:
    https://ombudsman.ge/geo/adamianis-uflebata-akademia
  - ბავშვის უფლებათა დეპარტამენტი:
    https://ombudsman.ge/geo/bavshvis-uflebebi
- **საქართველოს სახალხო დამცველი/გაეროს ქალთა ორგანიზაცია**
  ელექტრონული კურსი გენდერული თანასწორობის შესახებ:
  http://genderequality.ombudsman.ge/ka/login
- **სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრი http://tolerantoba.ge/**
  ჟურნალი სოლიდარობა: http://tolerantoba.ge/index.php?news_id=44
  ეთნოსები საქართველოში: http://tolerantoba.ge/index.php?news_id=42
  რელიგიები საქართველოში: http://tolerantoba.ge/index.php?news_id=40
- **რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო https://www.religion.gov.ge/ge/**
  რელიგიები საქართველოში: https://www.religion.gov.ge/religiebi-saqartvelosi
  პუბლიკაციები: https://www.religion.gov.ge/ge/publikaciebi
- **ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნო**
  ჩემი უფლებები: http://myrights.gov.ge/ka/my%20rights/
- **გაეროს ქალთა ორგანიზაცია საქართველოში (UN WOMEN GEORGIA)**
  ციფრული ბიბლიოთეკა:
  https://georgia.unwomen.org/ka/digital-library/publications

- **გაეროს მოსახლეობის ფონდი საქართველოში (UNFPA GEORGIA)**
  პუბლიკაციები: https://georgia.unfpa.org/ka/publications
- **გაეროს ბავშვთა ფონდი საქართველოში (UNICEF GEORGIA)**
  პუბლიკაციები და ანგარიშები: https://www.unicef.org/georgia/ka
- **ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI)**
  პუბლიკაციები და მულტიმედია: https://tdi.ge/ge
  გზამკვლევი სახელმძღვანელოების ავტორებისთვის:
  http://tdi.ge/sites/default/files/tdi_brochure.pdf
- **სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმი**
  ბიბლიოთეკა: https://ctf.org.ge/Resources
- **კავშირი 21-ე საუკუნე**
  რელიგიის სწავლება საჯარო სკოლებში:
  http://century21.ge/geo/religiis-swavleba-sajaro-skolebshi/
  პუბლიკაციები:
  http://century21.ge/geo/category/%e1%83%9e%e1%83%a3%e1%83%91%e1%83%9a%e1%83%98%e1%83%99%e1%83%90%e1%83%aa%e1%83%98%e1%83%94%e1%83%91%e1%83%98/
- **ინკლუზიური განათლება**
  საგანმანათლებლო რესურსები: http://inclusion.ge/geo/static/13
- **კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის**
  სასარგებლო ინფორმაცია: http://disability.ge/ge/sasargeblo-rchevebi-2
  კვლევები და პუბლიკაციები: http://disability.ge/ge/kvlevebi-02
  სტატისტიკა: http://disability.ge/ge/blogi
  შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები:
  http://disability.ge/ge/shshm-pirta-uflebebi